

დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მამიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ ქალაქ ნინოწმინდის N4 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე: ტარიელ სივსივაძე, ზოგადი
განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

წევრები:

1. ანი მეხუზლა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
2. ნანა ვარდმანიძე, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საგნობრივი ექსპერტი
3. გოგი ლატარია, საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნობრივი ექსპერტი
4. ნინო ბურჯანაძე, უცხო ენათა საგნობრივი ექსპერტი
5. მარინე რეხვიაშვილი, ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
6. ჟანა ბელქანია, ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
7. მარინე ხუციშვილი, სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
8. ირმა შველიძე, მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
9. ლია ნეფარიძე, სპორტის საგნობრივი ექსპერტი
10. ნინო ჭანტურიძე, ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი



ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ქალაქ ნინოწმინდის N4 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	236688839

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი ნინოწმინდა, ჰოვსეფიანის ქ. N 16
ფაქტობრივი მისამართი	ქალაქი ნინოწმინდა, ჰოვსეფიანის ქ. N 16
საფოსტო ინდექსი	3400
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	Skolebi.emis.ge(სსიპ ქალაქ ნინოწმინდის N4 საჯარო სკოლა).
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Ninotsminda4@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	551085868

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 05 ივნისის N MES 7 24 0000626499 ბრძანება
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2024 წლის 04 და 05 ივლისი



IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	დაწებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი ნინოწმინდა, ჰოვსეფიანის ქ. N 16. ერთი შენობა - ნაგებობა
2	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი ნინოწმინდა, ჰოვსეფიანის ქ. N 16. ერთი შენობა - ნაგებობა
3	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი ნინოწმინდა, ჰოვსეფიანის ქ. N 16. ერთი შენობა - ნაგებობა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ ქალაქ ნინოწმინდის N4 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 04 და 05 ივლისს. ვიზიტის დღის წესრიგი შეთანხმებული იყო სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან. ვიზიტით განსაზღვრულ საკითხებთან დაკავშირებით სკოლა მზადყოფნაში დაგვხვდა. მოხილზებული იყო სკოლის

პედგოლექტივი, დირექცია და ადმინისტრაცია. ვიზიტმა საქმიან ატმოსფეროში ჩაიარა. **11:00** საათიდან დავიწყეთ **online** შეხვედრები სკოლის კათედრების წარმომადგენლებსა და საგნობრივ ექსპერტებს შორის. ყველა კათედრასთან გასაუბრება განხორციელდა ვიზიტის პირველ დღეს. ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ექსპერტი აქტიურად იყო ჩართული კათედრებთან შეხვედრების პროცესში. ექსპერტთა ჩართვას ორგანიზებას უწევდა ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი. მთელი სამუშაო პროცესის მიმდინარეობისას, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, საავტორიზაციო პროცესში ჩართული იყო ბრძანებით განსაზღვრული ქ.ნინოწმინდის საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენელი(სპეციალისტი), ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე და ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა განვახორციელეთ სკოლის ინფრასტრუქტურის დათვალიერება, ასევე, ადგილზე მოხდა სასწავლო რესურსების, ლაბორატორიების და ბიბლიოთეკის დათვალიერება. შევისწავლეთ საგანმანათლებლო რესურსები ქიმია-ფიზიკა-ბიოლოგიის მიმართულებით. ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი მუშაობდა სასკოლო დოკუმენტაციასთან, აზუსტებდა მნიშვნელოვან საკითხებს. ვიზიტის მთელი პროცესი წარიმართა კეთილგანწყობილ გარემოში. პირველი დღის შეჯამება მოვახდინეთ სკოლის პერსონალთან ერთად, გავაცანით ჩვენი ხედვები და მიგნებები. ვიზიტის მე-2 დღე ასევე გამოყენებული იქნა სასკოლო დოკუმენტაციის გაცნობის, დირექცია-ადმინისტრაციის წარმომადგენლების(ბუღალტერს) გასაუბრებისათვის. დავათვალიერეთ და გავეცანით სსსმ მოსწავლისათვის სკოლის მიერ შეთავაზებული სერვისის თაობაზე ინაფორმაციას. ვიზიტის დასასრულს შევხვდით სკოლის კოლექტივს, რაც ასევე საქმიანად წარიმართა. სკოლის წარმომადგენლებს გავუზიარეთ ჩვენი მოსაზრებები სკოლის ინფრასტრუქტურული მდგომარეობის, წარმოებული დოკუმენტაციის, სასკოლო პროცესების, სკოლის თვალსაჩინოდ ძლიერი მხარეების და გამოსასწორებელი ხარვეზების შესახებ. ავტორიზაციის ჯგუფის წევრების მიერ გამოთქმული მოსაზრებები გაზიარებული იქნა სკოლის წარმომადგენლების მიერ. ჩვენგან გამოთქმული მოსაზრებები და მიგნებები სკოლისაგან აღქმული იქნა მხარდაჭერად და შემდგომი პროცესების დაგეგმვის და განვითარების წინაპირობად. სკოლას სრულად აქვს გაცნობიერებული თავისი ფუნქციების და როლის მნიშვნელობა რეგიონში არსებული მულტიკულტურული ვითარების გათვალისწინებით, რისი დასტურიც გახლავთ არაქართულენოვანი მოსახლეობის მზარდი ინტერესი ზოგადი განათლების სერვისის სახელმწიფო ენაზე მიღებასთან დაკავშირებით. აღნიშნული პრაქტიკა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას გადააქცევს მუნიციპალიტეტისათვის წარმატებული გამოცდილების მქონე სოციო-კულტურულ და საგანმანათლებლო დაწესებულებად.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა
---	-----------------------------	---

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სსიპ ქალაქ ნინოწმინდის N4 საჯარო სკოლას რამდენიმე მიმართულების გამორჩეული პრაქტიკა გააჩნია. ყველაზე გამორჩეული და თვალსაჩინო გამოცდილება გახლავთ ობოლ და მზრუნველობა მოკლებული ბავშვების სასწავლო პროცესში ინტეგრაციის ფაქტი. 2019-21 წლებში, სკოლაში სწავლობდნენ საპატრიარქოს დაქვემდებარებაში არსებული ბავშვთა პანსიონის ბენეფიციარები (ზემოთ მითითებული კატეგორია, გასათვალისწინებელია ის მოცემულობაც, რომ ამ დროს მოსწავლეთა საერთო რაოდენობა 190-მდე იყო), რომელთაგან ბევრს არ გააჩნდა საგანმანათლებლო ისტორია. სკოლამ და მისმა პერსონალმა შეძლო ამ მოსწავლეებისათვის შეექმნა მაქსიმალურად ადაპტირებული გარემო, გამოემუშავეთ მათში სასკოლო კულტურის შესაბამისი ქცევის ნორმები, მოეხდინა ტიპურ მოსწავლეებთან ინტეგრაცია და სასწავლო პროცესში სრული ჩართვა. ამ ტიპის მოსწავლეებთან დაკავშირებით სკოლას აქვს ასაკობრივი ექსტერნის უამრავი შემთხვევა, სკოლამ მოახერხა, რომ მათ დაეძლიათ კლასები და საფეხურები, ბევრმა მათგანმა სწავლა გააგრძელა პროფესიულ და უმაღლეს სასწავლებელში, ეს ბავშვები (აწ უკვე ზრდასრულები) დღემდე ინარჩუნებენ კავშირს სკოლასთან.

სკოლას აქვს არაქართულენოვანი მოსწავლეებისათვის ზოგადი განათლების სახელმწიფო ენაზე მიწოდების გამოცდილება. როგორც ცნობილია, რეგიონში ქართულენოვანი მოსახლეობა მცირეა, ქ.ნინოწმინდაში ერთადერთი ქართული სკოლა არის N4 საჯარო სკოლა. ამ ეტაპზე სკოლაში ირიცხება 29 მოსწავლე, საიდანაც 11 არაქართულენოვანია. სკოლის დირექტორმა აგვიხსნა, რომ არაქართულენოვან მოსახლეობას აქამდე მსგავსი ინტერესი არ გამოუმჟღავნებია, იზრდება სახელმწიფო ენაზე განათლების მიღების მსურველთა რაოდენობა, მაგრამ ხელისშემშლელი გარემოება არის ის ფაქტი, რომ სკოლა ორ ცვლაში სწავლობს (გარკვეული, მოუგვარებელი და დროში გაწელილი პრობლემის გამო).

სკოლას ჰყავს მწერალი-მასწავლებელი, რომელიც ჩართულია მოსწავლეთა არაფორმალური განვითარების პროცესში. აღნიშნულ პირთან ერთად ტარდება წიგნის კითხვის კვირეულები, მოსწავლეები დაინტერესებულები არიან თავიანთი მასწავლებლის ნაწარმოებებით (რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი საბავშვოა). აღსანიშნავია, რომ ამ პროცესებში აქტიურ მონაწილეობას იღებენ არაქართულენოვანი მოსწავლეები, რაც ბავშვებს ეხმარება სახელმწიფო ენის შესწავლასა და დახვეწაში.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი



სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება



კომპონენტი 3.2

პერსონალის განვითარება

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება



	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 120	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	ექსპერტთა ჯგუფი მოთხოვნილ ზღვრულ რაოდენობას ეთანხმება იმ შემთხვევაში, თუ სასწავლო პროცესი წარიმართება 2 ცვლაში

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ექსპერტთა ჯგუფმა „მეტწილად შესაბამისად“ შეაფასა ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, „მეტწილად შესაბამისად“ შეაფასა ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, „მეტწილად შესაბამისად“ შეაფასა ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება



გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი



ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხური	ხარვეზი













V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილად ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)¹

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
--------------	------------------	--

¹ გარდა მუდრე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.



ინდიკატორი 1.2.1.2.	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, 2024 წლის 20 სექტემბრიდან 2024 წლის 20 ოქტომბრამდე განახორციელოს 2023-30 წ.წ. სტრატეგიული განვითარების გეგმის დახვეწა, რომ ეს დოკუმენტი შეიცავდეს მისიასთან თავსებად მიზნებსა და ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, დაკონკრეტებული იქნას თითოეული ამოცანის განხორციელების ვადები და განსახორციელებლად საჭირო რესურსები
ინდიკატორი N1.2.1.3	სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, 2024 წლის 20 ოქტომბრიდან 2024 წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით შეიმუშაოს ახალი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც შესაბამისობაში იქნება სტრატეგიულ გეგმაში მოცემულ მიზნებთან და მასში კალენდარული წლის თვეების მიხედვით გაწერილი იქნება მისი რეალიზაციის მექანიზმები
ინდიკატორი N1.2.1.4	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, 2024 წლის 20 ოქტომბრიდან 2024 წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით შეიმუშაოს ახალი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელშიც მოცემული იქნება სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები.



სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი 3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ანმისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);	სკოლის მიმართ გაცემული იქნა რეკომენდაცია, განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები და შენობის კონსტრუქციული მდგრადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მოპოვება უზრუნველყოს 2025 წლის აპრილის ჩათვლით პერიოდში.
ინდიკატორი 3.5.1.4.	სკოლის ინფრასტრუქტურა კმნის	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, 2024 წლის აპრილიდან 2026 წლის



	სწავლის ინკლუზიურ გარემოს;	აპრილის ჩათვლით სასწავლო კორპუსის შესასვლელში უზრუნველყოს პანდუსის მოწყობა, სართულებზე გადაადგილება სსმ მოსწავლეებისათვის გახადოს ხელმისაწვდომი(დაამონტაჟოს ლიფტი), ასევე, ზემოთ მითითებულ ვადაში მოაწყოს ადაპტირებული სველი წერტილი.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხური	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, 2024 წლის 02-09 სექტემბრის პერიოდში, 2024-25 სასწ.წლისთვის შემუშავებული სასკოლო კურიკულუმი წარმოადგენდეს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საგნებში, დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში, კურიკულუმით განსაზღვრული შუალედური მიზნები სრულად წარმოადგენდეს შემოქმედებით პროდუქტს. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, ასევე, მუსიკის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები მოიცავდეს ყველა აუცილებელ კომპონენტებს: ა)თემატური ბლოკის ფარგლებში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება; ბ)სტანდარტის სამიზნე ცნებების რაოდენობა იყოს საფეხურისა და კლასის შესაბამისი. მუსიკის კურიკულუმში დამუშავდეს საგნის სტანდარტით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო თემა.
ინდიკატორი N2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, 2024 წლის 02-09 სექტემბრის პერიოდში შემუშავებული ახალი სასწავლო წლის სასკოლო გეგმა(კურიკულუმი) მიემართებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. მუსიკის კურიკულუმში დაფარული იქნას საგნის სტანდარტით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო თემა, რაც უზრუნველყოფს საგნობრივი კურსკულუმით განსაზღვრული თემის/საკითხის ჯამური საათობრივი დატვირთავის განსაზღვრას და სწავლის შედეგების მიღწევას.
ინდიკატორი N2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს,	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, 2024 წლის 02-09 სექტემბრის პერიოდში, ახალ სასწავლო გეგმაზე მუშაობისას გაითვალისწინოს მოსწავლის შეფასების სისტემის შესაბამისობის საკითხი ეროვნული სასწავლო



	მიზნებსა და ამოცანებს.	გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებთან, სკოლის მიერ შექმნილი რუბრიკებით შესაძლებელი გახადოს მოსწავლის ყოვლისმომცველი, სამართლიანი, რელევანტური და სანდო პირველ და მე-2 უცხო ენაში(ინგლისური და რუსული)
ინდიკატორი N2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, 2024 წლის 02-09 სექტემბრის პერიოდში უზრუნველყოს ისეთი სასკოლო გეგმის მომზადება, რომლითაც შესაძლებელი იქნება სასწავლო პროცესის სრულფასოვნად წარმართვა. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საგანში, სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზიდან გამომდინარე სასწავლო პროცესის დაგეგმვა ვერ მოხერხდება საგნობრივი კურიკულუმის მოთხოვნების შესაბამისად, ვინაიდან კურიკულუმში გაწერილი თემები(კალათბურთი, ფეხბურთი, ფრენბურთი) შესაბამისობაში ვერ მოდის სპორტულ ინფრასტრუქტურასთან.
ინდიკატორი N2.2.2.3	სკოლა უზრუნველყოფს საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის საკმარისი რაოდენობის მატერიალურ რესურსს, მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, 2024 წლის აგვისტოდან 2025 წლის აგვისტოს ჩათვლით, მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით, სასწავლო პროცესის სრულფასოვანი წარმართვისათვის უზრუნველყოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაბამისობაში მოყვანა(მოაწყოს სპორტული მოედანი და შეიძინოს/აღჭურვოს საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორიები)
ინდიკატორი N2.2.2.4	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, 2024 წლის აგვისტოდან 2025 წლის აგვისტოს ჩათვლით პერიოდში უზრუნველყოს შესაბამისი დონისძიების გატარება სახითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნის კვალიფიციური მასწავლებლის შერჩევისა და სკოლაში დასაქმების მიზნით
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი საბაზო საფეხური	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, 2024 წლის 02-09 სექტემბრის პერიოდში, 2024-25 სასწ.წლის სასკოლო კურიკულუმზე მუშაობისას გაითვალისწინოს ავტორიზაციის საგნობრივი ექსპერტებისგან გაცემული მითითებები, კერძოდ: მუსიკის საგანში ა)საფეხურის კურიკულუმი უნდა მოიცავდეს სტანდარტით გათვალისწინებულ ყველა აუცილებელ კომპონენტს.



		ბ)მუსიკის კურიკულუმში დამუშავდეს საგნის სტანდარტით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო თემა; გ)მუსიკის კურიკულუმში სამიზნე ცნებებთან მითითებული იქნას შესაბამისი ქვეცნებები. დ)მუსიკის კურიკულუმში დამუშავდეს საგნის სტანდარტით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო თემა, რაც უზრუნველყოფს საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული თემის/საკითხის ჯამური საათობრივი დატვირთვის განსაზღვრას და სწავლის შედეგების მიღწევას.
ინდიკატორი 2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, 2024 წლის 02-09 სექტემბრის პერიოდში, ახალი სასწავლო წლისათვის უზრუნველყოს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მყოფი სასკოლო გეგმის მომზადება, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საგანში, სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზიდან გამომდინარე სასწავლო პროცესის დაგეგმვა ვერ მოხერხდება საგნობრივი კურიკულუმის მოთხოვნების შესაბამისად, ვინაიდან კურიკულუმში გაწერილი თემები(კალათბურთი, ფეხბურთი, ფრენბურთი) შესაბამისობაში ვერ მოდის სპორტულ ინფრასტრუქტურასთან.
ინდიკატორი 2.2.2.3	სკოლა უზრუნველყოფს საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის საკმარისი რაოდენობის მატერიალურ რესურსს, მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, 2024 წლის აგვისტოდან 2025 წლის აგვისტოს ჩათვლით, უზრუნველყოს სპორტული მოედნის მოწყობა და შეიძინოს/აღჭურვოს საბუნებისმეტყველო საგნების(ფიზიკა-ქიმია-ბიოლოგია) ლაბორატორიები
ინდიკატორი 2.2.2.4	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, 2024 წლის აგვისტოდან 2025 წლის აგვისტოს ჩათვლით პერიოდში უზრუნველყოს კონკურსის ჩატარება სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნის კვალიფიციური კადრის შერჩევისა და სკოლაში დასაქმების მიზნით(თუ კონკურსის გზით ვერ შეირჩევა, კადრის მოძიების მიზნით მიმართოს სსიპ მასწავლებელთა განვითარების ეროვნულ ცენტრს).
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი საშუალო საფეხური	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია



ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, 2024 წლის 02-09 სექტემბრის პერიოდში, ახალი საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებისას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვას, განსაკუთრებით ეხება სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისა და მუსიკის საგნებს: ა)შემუშავდეს მუსიკის კურიკულუმის ჩარჩო; ბ)სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმში დაკონკრეტდეს პროექტის თემა; გ)პროექტულ სწავლების ფარგლებში დამუშავდეს თემატური ბლოკები; დ)სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმში დაკონკრეტდეს(მიეთითოს) კლასი.
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, 2024 წლის 02-09 სექტემბრის პერიოდში შეიმუშაოს ახალი სასწავლო წლის სასკოლო კურიკულუმი, რომელიც დამყარებული იქნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოქმედ ვერსიას და დააკმაყოფილებს მის მოთხოვნებს. მუსიკის საგანში, X კლასში შემუშავდეს მუსიკის პროექტული სწავლების კურიკულუმი, რომელიც უზრუნველყოფს საგნის საათობრივი დატვირთვის დაფარვას სასწავლო წლის განმავლობაში და ჯამური საათობრივი დატვირთვის ფარგლებში სწავლის შედეგების მიღწევას.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, 2024 წლის 02-09 სექტემბრის პერიოდში, 2024/25 სასწ.წლის სასწავლო გეგმაზე მუშაობისას, საგნობრივ კურიკულუმებთან ერთად შექმნას განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დონეების შესაბამისად, არ დაუშვას მათი აღრევა, ასევე, შეფასების კრიტერიუმები გახადოს უფრო ნათელი, ამომწურავი და ჩამოაყალიბოს მოსწავლეებისათვის/მშობლებისათვის გასაგები ენით. პირველი და მეორე უცხო ენის(ინგლისური ენა და რუსული ენა) საგნთან დაკავშირებით მოსწავლის შეფასების სისტემა მოყვანილი იქნას შესაბამისობაში ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და



		ამოცანებთან. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები დაიხვეწოს, ზოგადის ნაცვლად გახდეს კონკრეტიზებული და მიმართული იქნას გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდოლოგიურ ორიენტირებზე.
ინდიკატორი 2.2.1.1.	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, 2024 წლის 02-09 სექტემბრის პერიოდში, ახალი სასწავლო წლისათვის უზრუნველყოს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მყოფი სასკოლო გეგმის მომზადება, რომელშიც გათვალისწინებული უნდა იქნას სკოლაში არსებული რესურსები(როგორც ადამიანური, ისე მატერიალურ-ტექნიკური). სპორტის საგნობრივ მიმართულებასთან დაკავშირებით, სკოლის მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, სასწავლო პროცესის დაგეგმვა ვერ მოხერხდება საგნობრივი კურიკულუმის მოთხოვნის შესაბამისად, რადგან კურიკულუმში წარმოდგენილი თემები არ არის სკოლის სპორტული ინფრასტრუქტურის შესაბამისი.
ინდიკატორი 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, 2024 წლის 02-09 სექტემბრის განმავლობაში, სასკოლო კურიკულუმში უზრუნველყოს შეფასების სისტემის ვალიდაცია, გამჭვირვალობა და სამართლიანობა. სკოლამ შეიმუშაოს შეფასების რუბრიკების ნიმუშები, როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების განხორციელების დანიშნულებით. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგანში შემუშავებული იქნას განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.
ინდიკატორი 2.2.2.3	სკოლა უზრუნველყოფს საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის საკმარისი რაოდენობის მატერიალურ რესურსს, მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, 2024 წლის აგვისტოდან 2025 წლის აგვისტოს ჩათვლით, უზრუნველყოს სპორტული მოედნის მოწყობა და შეიძინოს/აღჭურვოს საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორიები, ასევე, განაახლოს თვალსაჩინოებების ბაზა.
ინდიკატორი 2.2.2.4	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, 2024 წლის აგვისტოდან 2025 წლის აგვისტოს ჩათვლით პერიოდში უზრუნველყოს კონკურსის ჩატარება(თუ კონკურსის გზით ვერ შეირჩევა, მიმართოს სსიპ



	საჭირო ადამიანური რესურსი.	მასწავლებელთა განვითარების ეროვნულ ცენტრს) სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნის კვალიფიციური მასწავლებლის შერჩევისა და სკოლაში დასაქმების მიზნით
--	----------------------------	---

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი 1.1.1.1.	სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;	სკოლას მიეცა რჩევა, დააკონკრეტოს სკოლის მისია, რომელშიც გათვალისწინებული უნდა იქნას მისი როლი და ფუნქციები როგორც ზოგადსახელმწიფოებრივი, ისე ადგილობრივი საჭიროებების შესაბამისად.
ინდიკატორი 1.1.1.2.	სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;	სკოლას მიეცა რჩევა, მისიასა და ხედვაში წარმოაჩინოს საკუთარი როლი, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო სივრცის შემქმნელმა დაწესებულებამ.
ინდიკატორი 1.2.1.1.	სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც	სკოლას მიეცა რჩევა, პირველ რიგში დახვეწოს სტრატეგიული დაგეგმარების დოკუმენტის შექმნის მეთოდოლოგია, რომელშიც ნათლად გამოჩნდება თავისი სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტული მიმართულებები და ინტერესები, ხოლო



	განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;	მორგებულ დოკუმენტზე დაყრდნობით დაიწყოს სტრატეგიული გეგმის დოკუმენტის პროექტზე მუშაობა.
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N 3.1.1.2.	სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.	სკოლას მიეცა რჩევა, დოკუმენტაციის დანომვრა დაიწყოს კალენდარული წლის დასაწყისიდან, ხოლო პროცესისათვის მეტი პროდუქტიულობის მისაღწევად კოლეგიურ ორგანოში განსახილველი საკითხები(როცა მათი ოდენობა არაბუნებრივად დიდია) გადაანაწილოს რამდენიმე სხდომაზე.
ინდიკატორი 3.1.2.2.	სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;	სკოლას მიეცა რჩევა, 2024/25 სასწავლო წლიდან დაიწყოს გაკვეთილების გადანაცვლება-ჩანაცვლების ჟურნალის წარმოება.
ინდიკატორი 3.1.2.6.	სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.	სკოლას მიეცა რჩევა, აამუშაოს თავის შიდა დოკუმენტაციაში გაწერილი პერსონალის/დასაქმებული პირის გამოცდილების აღიარებისა და წახალისების მექანიზმები და გააჩინოს მოტივაცია სასკოლო საზოგადოების დანარჩენი წევრებისათვის.
ინდიკატორი N 3.2.1.1.	სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;	სკოლას მიეცა რჩევა, 2024/25 სასწ.წლის 1-ელი სემესტრის პერიოდში, მის მიერ მიღებული დოკუმენტის(ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის) საფუძველზე, სკოლის შიდა ადამიანური რესურსის გამოყენებით შექმნას სამუშაო ჯგუფი, რომელმაც უნდა მოიპოვოს



		სათანადო ინფორმაცია რეგიონის საჯარო სკოლებში არსებული წარმატებული პრაქტიკის თაობაზე, რისი გადამუშავებისა და საკუთარ სკოლაზე მორგების შემდეგ განახორციელოს სკოლის პერსონალის საქმიანობის შეფასება და გამოვლენილ პროფესიული განვითარების საჭიროებათა იდენტიფიცირება.
ინდიკატორი N 3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);	სკოლას მიეცა რჩევა, შრომის უსაფრთხოების კვალიფიციური კადრთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებით.
ინდიკატორი N 3.4.1.6.	სკოლა უზრუნველყოფს	სკოლას მიეცა რჩევა, პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცრის



	პერსონალური მონაცემების დაცვას;	აყვანასთან/განსაზღვრასთან დაკავშირებით.
ინდიკატორი N 3.5.1.5.	სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.	სკოლას მიეცა რჩევა, ეზოს ფართის და კონფიგურაციის გათვალისწინებით, შეარჩიოს ადგილი რეკრეაციული კუთხის მოსაწყობად, რომელიც ასევე შეიძლება გამოდგეს სოციო-კულტურული დანიშნულების სივრცედ.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N4.2.1.1.	სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;	სკოლას მიეცა რჩევა, სკოლის თანამშრომელთაგან განსაზღვროს პირი, რომელიც კოორდინაციას გაუწევს მოსწავლეთა ადაპტირების პროცესს.
ინდიკატორი N4.2.1.6.	მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმაღლებს მოსწავლეთა მომსახურებას.	სკოლას მიეცა რჩევა, შექმნას პირობები სკოლის სტრუქტურული ერთეულების , განსაკუთრებით-მოსწავლეთა თვითმმართველი ორგანოების გააქტიურებისათვის, სასკოლო გარემოს/მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით სათანადო რეკომენდაციების გაცემისათვის.
ინდიკატორი N4.2.2.3.	სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.	სკოლას მიეცა რჩევა , მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით გამოიყენოს კითხვარები(ჩაატაროს კვლევა) და ინტერვიუები ფოკუსჯგუფებთან, ხოლო შედეგები გაითვალისწინოს შემდგომი სასწავლო წლის დაგეგმვისათვის.



ინდიკატორი N4.2.3.2.	სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის	სკოლას მიეცა რჩევა, 2024/25 სასწავლო წლის დაწყებამდე უზრუნველყოს რესურსოთახის სათანადო ინვენტარითა და თვალსაჩინოებებით აღჭურვა.
-------------------------	---	---



	პრინციპებს.	
--	-------------	--

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხური	რჩევა
ინდიკატორი 2.1.1.1	კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას	სასურველია სკოლამ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში კონკრეტულად ის მექანიზმები/ინსტრუმენტები/საშუალებები ასახოს, რომლებსაც იყენებს ან და მომავალში გამოიყენებს სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების საკვლევად. (მაგ: კითხვარი, ინტერვიუ, ინტერესთა ფორმა, ჩექლისტი და სხვა).
ინდიკატორი 2.1.1.2	კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები	სასურველია სკოლამ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში ასახოს, სასკოლო საზოგადოების ინტერესების კვლევის შემდეგ თუ როგორ, რა ფორმით გაითვალისწინა მიღებული შედეგები, როგორ ასახა სასკოლო საზოგადოების თუთოეული რგოლის ინტერესები.
ინდიკატორი 2.2.1.4	სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი	სასურველია სკოლამ ვერიფიკაციის მექანიზმში დააკონკრეტოს ის საშუალებები/ინსტრუმენტები/მექანიზმები რითიც ადგენს იმას თუ რამდენად რელევანტურია მათი შეფასების სისტემა და რამდენად იძლევა შედეგების გაუმჯობესების შესაძლებლობას.
ინდიკატორი 2.3.1.1	მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად	სასურველია სკოლამ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში კონკრეტულად ასახოს ის საშუალებები/მექანიზმები/ინსტრუმენტები, რომლითაც ახლა ახორციელებს ან სამომავლოდ განახორციელებს მონიტორინგსა და შეფასებას (მაგ: დაკვირვება, გამოკითხვა, SWOT ანალიზი და სხვა).
ინდიკატორი	კურიკულუმით გათვალისწინებული	ფიზიკური აღზრდა და სპორტი:



2.1.2.3	რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	სასურველია სკოლამ სწავლის შედეგების უკეთ მიღწევის მიზნით, მეტი ყურადღება დაუთმოს მატერიალური რესურსის(სპორტული ოთახი, სპორტული მოედანი) მოწესრიგებას.მათემატიკა: სასურველია მათემატიკის კურიკულუმებში გათვალისწინებული იყოს მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი. (სხვადასხვა თვალსაჩინოებები, ვიდეო მასალა, ელექტრონული რესურსები). მრავალფეროვანი სასწავლო რესურსის გამოყენება სკოლას მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვაში დაეხმარება. მეტად დაგეხმარებათ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვაში.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	ფიზიკური აღზრდა და სპორტი: სასურველია დაწყებითი საფეხურის შეფასების რუბრიკების შემუშავება მოხდეს შერჩეული სპორტის სახეობებიდან გამომდინარე. მათემატიკა: სასურველია შეფასების ინსტრუმენტებში დაკონკრეტდეს თემა, სამიზნე ცნება, დავალების აღწერა და შესრულების ინსტრუქცია. შეფასების რუბრიკა მიემართებოდეს სამიზნე ცნებებს, განისაზღვროს თემის ფარგლებში კრიტერიუმები, შედეგების მიღწევის ინდიკატორების შესაბამისად.
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	ბუნებისმეტყველება: სასურველია, კურიკულუმში აისახოს საგნის სტანდარტით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო თემა, თემის ფარგლებში ყველა სამიზნე ცნება, ხოლო კომპლექსური დავალებები დაეფუძნოს კონტექსტ მაგალითებს. მე და საზოგადოება: სასურველია საგნის სტანდარტით გათვალისწინებულ ყველა სავალდებულო თემაში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება.



ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	მათემატიკა: სასურველია სკოლამ დააზუსტოს სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები საგნის სტანდარტისა და ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, განსაზღვროს თემის/საკითხის ჯამური საათობრივი დატვირთვა. მე და საზოგადოება: სასურველია დაკონკრეტდეს თემის ფარგლებში საათების განაწილება.
ინდიკატორი 2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;	პირველი და მეორე უცხო ენა: კურიკულუმში კომპლექსური დავალების რაოდენობა თითოეულ კლასში საჭიროებს მოდიფიცირებას.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი საბაზო საფეხური	რჩევა
ინდიკატორი 2.1.1.1	კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას	სასურველია სკოლამ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში კონკრეტულად ის მექანიზმები/ინსტრუმენტები/საშუალებები ასახოს, რომლებსაც იყენებს ან და მომავალში გამოიყენებს სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების საკვლევად. (მაგ: კითხვარი, ინტერვიუ, ინტერესთა ფორმა, ჩექლისტი და სხვა).
ინდიკატორი 2.1.1.2	კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;	სასურველია სკოლამ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში ასახოს, სასკოლო საზოგადოების ინტერესების კვლევის შემდეგ თუ როგორ, რა ფორმით გაითვალისწინა მიღებული შედეგები, როგორ ასახა სასკოლო საზოგადოების თუთოეული რგოლის ინტერესები.
ინდიკატორი	სკოლაში ფუნქციონირების	სასურველია სკოლამ ვერიფიკაციის მექანიზმში დააკონკრეტოს ის



2.2.1.4	შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;	საშუალებები/ინსტრუმენტები/მექანიზმები რითიც ადგენს იმას თუ რამდენად რელევანტურია მათი შეფასების სისტემა და რამდენად იძლევა შედეგების გაუმჯობესების შესაძლებლობას.
ინდიკატორი 2.3.1.1	მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად	სასურველია სკოლამ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში კონკრეტულად ასახოს ის საშუალებები/მექანიზმები/ინსტრუმენტები, რომლითაც ახლა ახორციელებს ან სამომავლოდ განახორციელებს მონიტორინგსა და შეფასებას (მაგ: დაკვირვება, გამოკითხვა, SWOT ანალიზი და სხვა).
ინდიკატორი 2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;	პირველი და მეორე უცხო ენა: რჩევა: კურიკულუმში კომპლექსური დავალების რაოდენობა თითოეულ კლასში საჭიროებს მოდიფიცირებას.
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	ფიზიკური აღზრდა და სპორტი: სასურველია წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებაში დამუშავდეს სამივე სამიზნე ცნება, ხოლო აქტივობები გაიწეროს ეტაპების მიხედვით. საზოგადოებრივი მეცნიერებები: საგან მოქალაქეობაში რამოდენიმე თემაში არ არის ყველა სამიზნე ცნება წარმოდგენილი. თითოეულ თემაში ყველა სამიზნე ცნების დამუშავება აუცილებელია. აგრეთვე, უმჯობესია ქვესაკითხები გადაიტანონ საკითხი/საკითხთა კლასტერის გრაფაში. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: კარგი იქნება ყველა კლასის კურიკულუმში გამოკვეთილი იყოს კონტექსტ მაგალითი, რომელიც ხელს შეუწყობს შესასწავლი საკითხის მიმართ დაინტერესებას.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს,	ფიზიკური აღზრდა და სპორტი: სასურველია საბაზო საფეხურის შეფასების რუბრიკების შემუშავება მოხდეს შერჩეული სპორტის სახეობებიდან



	მიზნებსა და ამოცანებს	გამომდინარე. საზოგადოებრივი მეცნიერებები: განმავითარებელი შეფასებისას სასურველია დავეყრდნოთ სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრ წარმოდგენებს. მათემატიკა: სასურველია შეფასების რუბრიკები შემუშავდეს სამიზნე ცნებებზე ორიენტირებულად, კრიტერიუმები განისაზღვროს თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორების შესაბამისად. სასურველია, თუ განახლდება და სტანდარტთან შესაბამისობაში მოვა სასკოლო სასწავლო გეგმის დანართად გაწერილი მათემატიკის წერთი შემაჯამებელი დავალების შეფასების სქემა. კარგი იქნება სანდოობისა და სამართლიანობის უზრუნველსაყოფად, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში კრიტერიუმების თითოეული ქულის შესაბამისად ჩაშლა. საზოგადოებრივი მეცნიერებები: სასურველია სკოლამ დააკონკრეტოს შეფასების რუბრიკა მკვიდრი წარმოდგენებისა და ქვესაკითხების შესაბამისად.
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმში მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	საზოგადოებრივი მეცნიერებები: სასურველია დაკონკრეტდეს თემის ფარგლებში შესაბამისი საათები რაოდენობა. მათემატიკა: სასურველია საბაზო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმში გაიწეროს განსაზღვრული თემის/საკითხის ჯამური საათობრივი დატვირთვა
ინდიკატორი 2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრულ ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში;	მათემატიკა: სასურველია თუ ცალკეული თემების შესაბამისად გაიწერე ძირითადი და დამხმარე რესურსები, .მრავალფეროვანი სასწავლო რესურსის გამოყენება დაეხმარება სკოლას მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და წარმართვაში.



ინდიკატორი 2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: სასურველია თუ სკოლა გამოიყენებს მეტ თვალსაჩინოებასა და მრავალფეროვან რესურსს. სასურველია ინდივიდუალური გეგმის შესაბამისად მოხდეს შეფასების რუბრიკის შემუშავება.
-----------------------	---	---

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი საშუალო საფეხური	რჩევა
ინდიკატორი 2.1.1.1	კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას	სასურველია სკოლამ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში კონკრეტულად ის მექანიზმები/ინსტრუმენტები/საშუალებები ასახოს, რომლებსაც იყენებს ან და მომავალში გამოიყენებს სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების საკვლევად. (მაგ: კითხვარი, ინტერვიუ, ინტერესთა ფორმა, ჩექლისტი და სხვა).
ინდიკატორი 2.1.1.2	კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები	სასურველია სკოლამ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში ასახოს, სასკოლო საზოგადოების ინტერესების კვლევის შემდეგ თუ როგორ, რა ფორმით გაითვალისწინა მიღებული შედეგები, როგორ ასახა სასკოლო საზოგადოების თითოეული რგოლის ინტერესები.
ინდიკატორი 2.2.1.4	სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი	სასურველია სკოლამ ვერიფიკაციის მექანიზმში დააკონკრეტოს ის საშუალებები/ინსტრუმენტები/მექანიზმები რითიც ადგენს იმას თუ რამდენად რელევანტურია მათი შეფასების სისტემა და რამდენად იძლევა შედეგების გაუმჯობესების შესაძლებლობას.
ინდიკატორი 2.3.1.1	მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად	სასურველია სკოლამ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში კონკრეტულად ასახოს ის საშუალებები/მექანიზმები/ინსტრუმენტები, რომლითაც ახლა ახორციელებს ან სამომავლოდ განახორციელებს მონიტორინგსა და



		შეფასებას (მაგ: დაკვირვება, გამოკითხვა, SWOT ანალიზი და სხვა).
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოდგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	ფიზიკური აღზრდა და სპორტი: სასურველია წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებში დამუშავდეს სამივე სამიზნე ცნება, ხოლო აქტივობები გაიწეროს ეტაპების მიხედვით. საზოგადოებრივი მეცნიერებები: საგან მოქალაქეობაში თითოეულ თემაში ყველა სამიზნე ცნების დამუშავება აუცილებელია. საზოგადოებრივი მეცნიერებები: გეოგრაფიის მე-11 კლასის კურიკულუმში უნდა აისახოს შუალედური მიზნები.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	ფიზიკური აღზრდა და სპორტი: სასურველია საბაზო საფეხურის შეფასების რუბრიკების შემუშავება მოხდეს შერჩეული სპორტის სახეობებიდან გამომდინარე. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: კარგი იქნება თუ მოწავლეების მიღწევების აღსაწერად შექმნით შესაბამის კონტენტ-მაგალითზე დაფუძნებულ შეფასების რუბრიკებს. მათემატიკა: სასურველია შეფასების რუბრიკა გაიწეროს სამიზნე ცნებებზე მორგებულად, კრიტერიუმები განისაზღვროს თემის ფარგლებში შედეგის მიღწევის ინდიკატორების შესაბამისად. სასურველია თუ განახლდება და სტანდარტთან შესაბამისობაში მოვა სასკოლო სასწავლო გეგმის დანართად გაწერილი მათემატიკის წერითი შემაჯამებელი დავალების შეფასების სქემას, სანდოობისა და სამართლიანობის მეტად უზრუნველყოფისათვის განმსაზღვრელი



		შეფასების რუბრიკებში სასურველია კრიტერიუმები ჩაიშალოს თითოეულ ქულის შესაბამისად. საზოგადოებრივი მეცნიერებები: განმავითარებელი შეფასებისას სასურველია დავეყრდნოთ სამიზნე ცნებასთან დაკავშირებულ მკვიდრ წარმოდგენებს.
ინდიკატორი 2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;	პირველი და მეორე უცხო ენა: კურიკულუმში კომპლექსური დავალების რაოდენობა თითოეულ კლასში საჭიროებს მოდიფიცირებას.
ინდიკატორი 2.1.2.4	საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებულია დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: კარგი იქნება, თუ კურიკულუმში მეტი რესურსი იქნება ასახული, რაც სწავლა-სწავლების პროცესს უფრო საინტერესოს გახდის, გაზრდის მოსწავლეთა მოტივაციას.
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმში მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	მათემატიკა: საშუალო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმში გაწერეთ განსაზღვრული თემის/საკითხის ჯამური საათობრივი დატვირთვა. სასკოლო სასწავლო გეგმით დააზუსტეთ შემაჯამებელი სამუშაოების სავალდებულო რაოდენობა X-XI კლასებში საზოგადოებრივი მეცნიერებები: საგან მოქალაქეობაში თითოეულ თემაში მისათითებელია თემისათვის დათმობილი საათების რაოდენობა.
ინდიკატორი 2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში;	მათემატიკა: სასურველია, თუ ცალკეული თემების შესაბამისად სკოლა გაწერს ძირითად და დამხმარე სახელმძღვანელოებსაც. მრავალფეროვანი სასწავლო რესურსის გამოყენება მეტად დაეხმარებათ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვაში.

--	--	--

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სსიპ ქ.ნინოწმინდის N4 საჯარო სკოლის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფისაგან გაზიარებული იქნა ამავე სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია (შესაბამისობის გეგმის მიხედვით) ავტორიზაციის პროცესში დახარვეზებული ინდიკატორების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით. ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის პოზიციას და მიიჩნევს, რომ მათ შესრულებას საფრთხე არ ემუქრება. ინდიკატორები 1.2.1.2. და 1.2.1.3. თავიდან შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, კორექტირებული შესაბამისობის გეგმის და სათანადო დამამტკიცებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ ეს ინდიკატორები „მეტწილად“ არის დაკმაყოფილებული. რაც შეეხება 3.4.1.1. და 3.5.1.4. ინდიკატორებს, სკოლას თავიდანვე ქონდა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც შენობის კონსტრუქციული მდგრადობის დასკვნის მოპოვებას გეგმავს ერთი კალენდარული წლის განმავლობაში (2024 წლის აპრილი-2025 წლის აპრილი), სკოლის მიერ წარმოდგენილია დოკუმენტი, რომ კვალიფიციურ სუბიექტთან (ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო) უკვე მიმდინარეობს კომუნიკაცია და სკოლას 2024 წლის ბოლომდე ექნება მდგრადობის დასკვნა. ამ ყველაფრის გათვალისწინებით აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისი“. 3.5.1.4. ინდიკატორის შემთხვევაში სკოლას მოთხოვნილი აქვს ორ წლიანი ვადა (2024 წლის აპრილი-2026 წლის აპრილი), რის გამოც ეს ინდიკატორი შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შესაბამისი“. მე-2 სტანდარტის შემთხვევაში, სამივე საფეხურზე დახარვეზებული იქნა ინდიკატორები, კერძოდ, დაწყებით საფეხურზე: 2.1.2.1.; 2.1.2.5.; 2.2.1.1.; 2.2.2.3. და 2.2.2.4. საბაზო საფეხურზე: 2.1.2.1.; 2.2.1.1.; 2.2.2.3. და 2.2.2.4. საშუალო საფეხურზე: 2.1.2.1.; 2.1.2.2.; 2.1.2.5.; 2.2.1.1.; 2.2.1.3.; 2.2.2.3 და 2.2.2.4 ინდიკატორები. სკოლის მიერ წარმოდგენილი კორექტირებული შესაბამისობის გეგმის საფუძველზე შეიცვალა შეფასება „არ შეესაბამება“ და გახდა „მეტწილად შესაბამისი“.

სსიპ ქ.ნინოწმინდის N4 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი ძირითადი და დამატებითი დოკუმენტაციის ანალიზის, საგნობრივ ექსპერტებსა და საგნობრივი მიმართულებების (კათედრების) მასწავლებლებს შორის გამართული online შეხვედრების,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარისა და ხარისხის ექსპერტის მიერ სკოლაში ვიზიტის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის სინთეზის საფუძველზე ავტორიზაციის ექსპერტთა მთლიანი ჯგუფი თანხმდება იმ პოზიციაზე, რომ ზემოთ ხსენებულ სკოლას გააჩნია სათანადო ადამიანური და ინტელექტუალური რესურსი მის წინაშე არსებული გამოწვევების გამკლავებისა და შემდგომი განვითარების დაგეგმვა-განხორციელებისათვის.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოცო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი მისია და ხედვა შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან, თუმცა მისია და ხედვა ჩამოყალიბებულია ზოგადად, არ ჩანს ამ კონკრეტული სკოლის როლი ადგილობრივი მულტიკულტურული ისტორიისა და ტრადიციების მქონე მუნიციპალიტეტის მიმართ. მისია-ხედვა-ღირებულებები ჩაშენებულია 2023/24 სასწ.წლის სასკოლო გეგმაში, ასევე, უცვლელი სახით არის გადატანილი 7 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმაში. **სკოლას მიეცა რჩევა**, დააკონკრეტოს სკოლის მისია. იმ მოცემულობის გათვალისწინებით, რომ ქ.ნინოწმინდაში(ქალაქის მასშტაბით) ეს სკოლა არის ერთადერთი ქართულენოვანი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, გაითვალისწინოს თავისი როლის მნიშვნელობა როგორც ზოგადსახელმწიფოებრივი, ისე ადგილობრივი საჭიროებების შესაბამისად. **ასევე, გაცემული იქნა რჩევა**, რომ მისია-ხედვის დოკუმენტი იყოს უფრო კომპაქტური, მოქნილი, ხედვა წარმოდგენილი იქნას დროში გაზომვადი მექანიზმით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მისიაში მითითებულია, რომ „ქალაქ ნინოწმინდის N4 საჯარო სკოლა იქნება სასკოლო საზოგადოების მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული ცოდნის კერა, რომლის კურსდამთავრებულებიც შეძლებენ საკუთარი თავის მაქსიმალურად

რეალიზაციას, უკეთესად წარმოჩენასა და დამკვიდრებას გლობალურ სამყაროში. სკოლა თანამედროვე მოთხოვნათა და გამოწვევათა შესაბამისად, იზრუნებს თავისუფალი, ჯანსაღი, ტოლერანტი, კომპეტენტური, კონკურენტუნარიანი ადამიანის ჩამოყალიბებაზე“. ამ განაცხადით სკოლა თავის თავს ხედავს, როგორც მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულსივრცეს; რაც შეეხება უსაფრთხოებას, აღნიშნულ დოკუმენტში ამ საკითხზე არ არის გამახვილებული ყურადღება, თუმცა სკოლა სრული მასშტაბით ახორციელებს პროცესების უსაფრთხოდ წარმართვას(აქვთ საამისო მეაქნიშმები და რესურსი).

სკოლას მიეცა რჩევა, რომ მისიასა და ხედვაში ასევე წარმაჩინოს საკუთარი როლი, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო სივრცის შემქმნელმა დაწესებულებამ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.სკოლის მიერ წარმოდგენილია სასკოლო სასწავლო გეგმა დასტრატეგიული დაგეგმვის დოკუმენტი, რომელშიც ჩაშენებულია მისია-ხედვა-ღირებულებები. სხვა სახის მტკიცებულება, რომელიც მოგვცემდა პროცესში სასკოლო საზოგადოების ინკლუზიის ხარისხის განსაზღვრის საშუალებას, არ არსებობს. ვიზიტის პერიოდში დავინტერესდით აღნიშნული საკითხით და აღმოჩნდა, რომ აღნიშნული დოკუმენტი შემუშავებულია სკოლის ადმინისტრაციის მიერ. აქვე უნდა ავღნიშნოთ ის გარემოება, რომ პროექტი გამოტანილი იქნა საჯაროდ და გაცნობილი იქნა როგორც სკოლის პერსონალის, ისე მშობლებისათვის. პროექტი მხოლოდ მას შემდეგ გახდა ზემოთ მითითებული დოკუმენტების შემადგენელი ნაწილი, როცა სასკოლო საზოგადოების წევრებმა დაასრულეს მისი გაცნობა და მოახდინეს მასში ასახული მიზნების აღიარება. სკოლის დირექცია-ადმინისტრაციის , წარმომადგენლებთან კომუნიკაციისას გამოიკვეთა, რომ 2024/25 სასწ.წლის დაწყებისთანავე სკოლა ფიქრობს გააგრძელოს მუშაობა მისია-ხედვა ღირებულებების დახვეწის მიმართულებით, შექმნას ჯგუფი, რომელიც იქნება ფართო წარმომადგენლობის მქონე. გამომდინარე იქიდან, რომ მომავალი სასწავლო წლიდან სკოლას ემატება პროფესიული განათლების პროგრამები, სკოლა გეგმავს, რომ აღნიშნული დოკუმენტი მიიღოს ცალკე სახით(აღარ წარმოადგენდეს რომელიმე დოკუმენტის დანამატს). ამჟამად მოქმედი დოკუმენტი განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე და შიდა საინფორმაციო სივრცეში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.სკოლა ფიქრობს, რომ მისია-ხედვა-ღირებულებების ამჟამად არსებული ვერსია მიღებული და გათავისებულია სასკოლო საზოგადოების წევრებისაგან. სკოლას აქვს გუნდური მუშაობის, ურთიერთპატივისცემასა და მიმდებლობაზე დაფუძნებული თანამშრომლობითი ურთიერთობის დიდი პრაქტიკა. სკოლაში იგრძნობა მულტიკულტურული გარემო, რადგან სასკოლო საზოგადოება განსხვავებული ეთნიკური შემადგენლობისაა. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, სკოლა ფართო კონსენსუსით გეგმავს

მისია-ხედვა-ღირებულებების დოკუმენტის გადახედვას, რაც განაპირობებს აღნიშნული დოკუმენტის მიზნების მეტ გათავისებას სკოლის პერსონალისა და მოსწავლეებისათვის.



ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია სკოლის ვებ - გვერდზე. მისი ელ.ვერსია თავის დროზე გაგზავნილია მშობლებთან, გამოქვეყნებულია საჯარო ჯგუფში, ასევე ამობეჭდილი სახით განთავსებულია სკოლის მთავარი შესასვლელის შიდა სივრცეში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. სკოლის სახელწოდება - სსიპ ქალაქ ნინოწმინდის N4 საჯარო სკოლა - შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. 2023/24 სასწ.წლის სასკოლო გეგმა.

2. სკოლის ვებგვერდი (skolebi.emis.ge/სსიპ ქალაქ ნინოწმინდის საჯარო სკოლა/)

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სსიპ - ქალაქ ნინოწმინდის N4 საჯარო სკოლის 7 წლიანი სტრატეგიული გეგმისა და სამოქმედო გეგმის შექმნის მეთოდოლოგიის დოკუმენტი შემუშავებული და დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2024 წლის 29 მარტის N19 ბრძანებით. მეთოდოლოგიის დოკუმენტი ზოგადია და საჭიროებს სკოლაზე მორგებას. სკოლის მიერ შევსებულ თვითშეფასების კითხვარში მითითებულია, რომ მეთოდოლოგია უფრო გვიან შეიქმნა, ვიდრე სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები. ვიზიტის პერიოდში დირექციის წარმომადგენლებმა განგვიმარტეს, რომ 2024/25 სასწ.წლის დასაწყისიდან გაგრძელდება მუშაობა მეთოდოლოგიის დოკუმენტის სრულყოფისათვის. აქვე აგვიხსნეს, რომ, როგორც სკოლის მისია-ხედვა-ღირებულებების დოკუმენტი, სტრატეგიული გეგმა შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობის გარეშე, ადმინისტრაციის წარმომადგენლების მიერ. სკოლა გეგმავს, შექმნას წარმომადგენლობითი სამუშაო ჯგუფი, რომელიც სრულყოფილი მეთოდოლოგიის დოკუმენტზე დაყრდნობით მოახდენს 7 წლიანი ციკლური განვითარების სტრატეგიული გეგმის მოდერნიზაციას და მასვე მიუსადაგებს ერთწლიან სამოქმედო გეგმას. **სკოლას მიეცა რჩევა**, პირველ რიგში დახვეწოს სტრატეგიული დაგეგმარების დოკუმენტის შექმნის მეთოდოლოგია, რომელშიც ნათლად გამოჩნდება თავისი სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტული მიმართულებები და ინტერესები, ხოლო მორგებულ დოკუმენტზე დაყრდნობით დაიწყოს სტრატეგიული გეგმის დოკუმენტის პროექტზე მუშაობა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, სტრატეგიული გეგმის შექმნა არ განხორციელებულა მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით(ისინი სხვადასხვა დროს იქნა მიღებული), თუმცა ეს გეგმა რეალურად არსებობს. ამ დოკუმენტის თითქმის ნახევარზე მეტი უჭირავს მისია-ხედვა-ღირებულებების ანალიზს, ასევე, სტრატეგიული მიზნების აღწერას. სკოლას შერჩეული აქვს 4 სტრატეგიული

მიზანი. ზოგიერთი მათგანი აცდენაშია სკოლის მისია-ხედვასთან(რომელიც, ასევე ზოგადია). ამ დოკუმენტში არსებობს სტრატეგიული მიზანი „მატერიალური რესურსის მართვა“, რომლის ამოცანები არ არის თანხვედრაში მიზანთან. გეგმაში არ ჩანს განხორციელებული აქტივობის სავარაუდო შედეგები(მოლოდინები), არც განხორციელების(დაწყება-დასრულების) კონკრეტული ვადებია განსაზღვრული(ყველაფერი გაწერილია ზოგადად, 7 წელზე) და რაც მთავარია, არ ჩანს განხორციელების რესურსი. სკოლის დირექციამ დაგვიდასტურა, რომ წარმოდგენილ დოკუმენტს აქვს ხარვეზი, რომ მასში შეტანილია არასაჭირო სახის ინფორმაცია და საჭიროებს დახვეწას. სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი აღნიშნულ დოკუმენტზე იმუშავებს 2024/25 სასწ.წლის პირველი სემესტრის 2 თვის განმავლობაში და ნოემბრისთვის ექნებათ სკოლის საჭიროებაზე მორგებული სტრატეგიული განვითარების გეგმა. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა**, რომლის მიხედვითაც ეს უკანასკნელი 2024 წლის 20 სექტემბრიდან 2024 წლის 20 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდში აპირებს თავის სტრატეგიული განვითარების გეგმის დახვეწას რომ ეს დოკუმენტი შეიცავდეს მისიასთან თავსებად მიზნებსა და ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, დაკონკრეტებული იქნას თითოეული ამოცანის განხორციელების ვადები და განსახორციელებლად საჭირო რესურსები.

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია

3.ერთწლიანი სამოქმედო გეგმა არ არის თანხვედრაში სტრატეგიული განვითარების გეგმასთან, აღნიშნულ დოკუმენტში არ არის გადმოტანილი ის სტრატეგიული მიმართულებები, რომლებიც დეკლარირებული აქვს სკოლას. აღნიშნული დოკუმენტი მიღებული და დამტკიცებულია 2023 წლის სექტემბერში, მეთოდოლოგიის გარეშე. ამ დოკუმენტში ჩანს განსახორციელებელი აქტივობების(ამოცანებისა და მისაღები შედეგების ჩანაწერები, ასევე, გაწერილია რესურსები, მაგრამ გეგმაში არ ჩანს ივლისის და აგვისტოს მთლიანი პერიოდი, ანუ, რეალურად გეგმა არის 10 თვიანი. ისე, როგორც სტრატეგიული გეგმის შემთხვევაში, სკოლის დირექცია აღნიშნავს, რომ ეს დოკუმენტიც არის ხარვეზიანი და ახალი სასწავლო წლის პირველ სემესტრში, სტრატეგიული განვითარების გეგმის გასრულყოფილების შემდეგ შეიმუშავენ ერთწლიან სამოქმედო გეგმასაც. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა**, რომლის მიხედვით ეს უკანასკნელი გეგმავს 2024 წლის 20 ოქტომბრიდან 2024 წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით ვადაში შეიმუშაოს ახალი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც შესაბამისობაში იქნება სტრატეგიულ გეგმაში მოცემულ მიზნებთან და მასში კალენდარული წლის თვეების მიხედვით გაწერილი იქნება მისი რეალიზაციის მექანიზმები **ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია**

4. სკოლის ამჟამინდელი სამოქმედო ერთწლიანი გეგმა არის ხარვეზიანი, კერძოდ, იგი არ შეიცავს 7 წლიანი ციკლური გეგმის სტრატეგიული მიზნების შესრულების მექანიზმებს. აღნიშნული მიზნები და სკოლის მიერ ამ მიზნების მიღწევისათვის დაგეგმილი აქტივობები არ არის ერთმანეთთან შესაბამისობაში, გეგმაში არ ჩანს ცალკეული ამოცანების შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, ასევე, ამ ამოცანების განხორციელების რესურსი არარეალისტურია. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა**,



რომლითაც იგი გეგმავს 2024 წლის 20 ოქტომბრიდან 2024 წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით შეიმუშაოს ახალი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელშიც მოცემული იქნება სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები.

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

1.სკოლის 2023-30 წ.წ. სტრატეგიული განვითარების გეგმა.

2023 წლის 11 სექტემბერს დამტკიცებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

სტრატეგიული გეგმის შექმნის მეთოდოლოგია და მისი დამტკიცების ბრძანება(2024 წ.29 მარტი)
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის დირექტორის 2024 წლის 29 მარტის N19 ბრძანებით დამტკიცებულია სტრატეგიული გეგმის შექმნის მეთოდოლოგია. ამ დოკუმენტშივეა მოქცეული მისია-ხედვა-ღირებულებების შექმნის მეთოდოლოგია. სამოქმედო გეგმის მონიტორინგისთვის სკოლა იყენებს ანგარიშების წარმოდგენის მეთოდს. ივნისის ბოლო კვირაში სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარესთან წარმოადგენენ წერილობით ანგარიშს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ და შესაბამის მტკიცებულებებს. მონიტორინგის პროცესის დასრულების შემდეგ იწყება შეფასების პროცესი. მონიტორინგის ფარგლებში შეგროვებული ანგარიშები გასაანალიზებლად გადაეცემა სამუშაო ჯგუფს, რომელიც შინაარსობრივად სწავლობს შეგროვებულ ინფორმაციას და წარმოადგენს შუალედურ ანგარიშს. წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის, ხოლო სამი წლის ბოლოს სტრატეგიული გეგმის შესრულების შედეგები ფორმდება ანგარიშის სახით და წარედგინება დირექტორს. დამტკიცებული ანგარიში, საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით, განთავსდება სკოლის ვებგვერდზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ასევე, ვიზიტის დროს მიღებული ინფორმაციის თანახმად ირკვევა, რომ სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები დამტკიცებულია 2023 წლის სექტემბერში. სკოლას არ განუხორციელებია სამოქმედო გეგმის შუალედური მონიტორინგი, ხოლო მისი შესრულების ანგარიშის შედგენას აპირებენ ამ გეგმის მოქმედების ერთი წლის თავზე. როგორცა ვღნიშნეთ, სამოქმედო გეგმა ხარვეზიანია(ერთი წლის ნაცვლად 10 თვეზეა გაწერილი), სკოლა

გეგმავს აღნიშნული ხარვეზის გასწორებას და ახალი სამოქმედო გეგმის შედგენას საფუძვლად დაუდოს ამჟამად მოქმედი ერთწლიანი გეგმის ანალიზი და შეფასება(ანალიზს გააკეთებენ სექტემბრის ბოლოს).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.მას შემდეგ, რაც განხორციელდება ამჟამად მოქმედი ერთწლიანი გეგმის ანალიზი და შეფასება, სკოლა გეგმავს ანგარიშის გასაჯაროებას საკუთარ ვებ.გვერდზე.

ინდიკატორი არ ექვემდებარება შეფასებას.

4.სკოლა გეგმავს, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენოს სკოლის განვითარებისათვის.

ინდიკატორი არ ექვემდებარება შეფასებას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

სკოლის დირექტორის 2024 წლის 29 მარტის N19 ბრძანება სტრატეგიული გეგმის შექმნის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე(დანართთან ერთად).

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.
 - ☐ შეესაბამება
 - ☒ მეტწილად შეესაბამება
 - ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
 - ☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას



1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 448-ე ბრძანებით დამტკიცებული, საჯარო სკოლის წესდებით გათვალისწინებული ყველა სტრუქტურული ერთეული. კერძოდ, პედაგოგიური საბჭო თავისი კათედრებით, სამეურვეო საბჭო, დირექცია, ადმინისტრაცია, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, მასვე ემატება უფრო მოგვიანებით შექმნილი კოლეგიური ორგანო-მრჩეველთა საბჭო. სკოლას აქვს ამ სტრუქტურული ერთეულების სქემატური გეგმა, რომელზეც აღნიშნული ორგანოები განლაგებულნი არიან მათი იერარქიის, კომპეტენციების და უფლებათა დელეგირების გათვალისწინებით. სკოლას დამტკიცებული და თვალსაჩინო ადგილზე აქვს განთავსებული ზემოთ ჩამოთვლილი სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები, ასევე, სკოლაში იძებნება ამ ერთეულების მიერ განხორციელებული აქტივობების დამამტკიცებელი დოკუმენტაცია (ოქმები, ბრძანებები, სამსახურებრივი ბარათები და ა.შ.).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლას მოწესრიგებული აქვს სტრუქტურული ერთეულების იერარქიული განლაგება. მათი ფუნქციები და კომპეტენციები გამოჩნულია, რაც წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორს სკოლის მიერ ხარისხიანი საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებისათვის. სტრუქტურული ერთეულებიდან აღსანიშნავია საგნობრივი კათედრების როლი ზემოთ აღნიშნული საქმიანობის მიმართულებით (სულ 5 კათედრა აქვთ). ვიზიტის პერიოდში მიმდინარეობდა კათედრების ანგარიშების წარმოდგენა, სადაც იკვეთებოდა როგორც მიმდინარე წლის შემაჯამებელი მონაცემები, ისე სამომავლო ხედვები. სკოლის სამეურვეო და პედსაბჭო ჩართულები არიან სასწავლო პროცესის მოსამზადებელ სამუშაოებში (პირველსავე ეტაპზე, სექტემბრის დასაწყისიდან). მნიშვნელოვანია აღინიშნოს კათედრების და პედაგოგიური საბჭოს როლი სასწავლო წლის ორგანიზებასთან დაკავშირებით, თუმცა აქ გამოიკვეთა ერთი შაბლონური გარემოება: პედსაბჭოს ოქმის დანომვრა (N1) იწყება სექტემბრიდან და ამ ოქმში შეტანილია 9 საკითხი! **სკოლას მიეცა რჩევა**, დოკუმენტაციის დანომვრა დაიწყოს კალენდარული წლის დასაწყისიდან, ხოლო პროცესისათვის მეტი პროდუქტიულობის მისაღწევად, კოლეგიური ორგანოს მიერ განსახილველი საკითხები (როცა მათი ოდენობა არაბუნებრივად დიდია) გადაანაწილოს რამდენიმე სხდომაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

1.სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებისა და კომპეტენციების განსაზღვრის შესახებ დირექტორის 2024 წლის 04 ივლისის N65 ბრძანება(დანართთან ერთად).

2.პედსაბჭოს ოქმები

3.სამეურვეო საბჭოს ოქმები

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის დირექტორის 2024 წლის 26 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული აქვთ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია კადრების შერჩევის, თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარების, შეფასებისა და ხელშეკრულების შეწყვეტის მექანიზმები. გარდა ხსენებული დოკუმენტისა, პერსონალის მართვის მექანიზმები ჩადებულია სკოლის შინაგანაწესსა და სკოლასა და დასაქმებულს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში. შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს სკოლის შინაგანაწესი, რომლის გაცნობას დასაქმებული ადასტურებს საკუთარი ხელმოწერით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.სკოლის პერსონალის პრევენციული და ინტერვენციული მართვის მექანიზმები გაწერილია შინაგანაწესში, რომელშიც მოცემულია დასაქმებული პირის ვალდებულება სამსახურში დაგვიანებით გამოცხადების ან გამოუცხადებლობის შემთხვევაში დირექციისათვის შეტყობინების შესახებ. აქვე გასათვალისწინებელია ის ფაქტობრივი გარემოება, რომ რეგიონის გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული პროფესიონალი კადრების მოზიდვა. ამ პრობლემის მოგვარების მიზნით სკოლა უკვე რამდენიმე წელია თანამშრომლობს მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან და ითხოვს სხვადასხვა საგნის სპეციალისტების გამოგზავნას. ამ ეტაპზე პროგრამა „ასწავლე საქართველოსთვის“ ფარგლებში სკოლაში დასაქმებულია 6 სხვადასხვა საგნის მასწავლებელი. ვიზიტის პერიოდში დავათვალიერეთ პერსონალის სამუშაო დროის აღრიცხვის ჟურნალი, რომელშიც ვხვდებით ცარიელ გრაფებს(ანუ, იმ დღეს მასწავლებელი/პირი სამსახურში არ გამოცხადებულა). სკოლა არ აწარმოებს გაკვეთილების გადანაცვლება-ჩანაცვლების ჟურნალს, ამდენად, გაუგებარია, იმ პირის გაკვეთილი, რომელიც სამსახურში არ/ვერ გამოცხადდა, ჩატარდა თუ გაცდა. სკოლის დირექტორმა განგვიმარტა, რომ 2023/24 სასწ.წლის განმავლობაში ზეპირად ახორციელებდნენ ჩანაცვლება-გადანაცვლებას. **სკოლას მიეცა რჩევა**, 2024/25 სასწავლო წლისათვის გამოსაწიროს ეს ხარვეზი და დაიწყოს გაკვეთილების გადანაცვლება-ჩანაცვლების ჟურნალის წარმოება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.ქ. ნინოწმინდის N4 საჯარო სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც ასევე მოიცავს იმ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რასაც უნდა აკმაყოფილებდნენ ვაკანტურ ადგილებზე დასაქმების მსურველი კანდიდატები. იმავე დოკუმენტში გვხვდება კონკურსის ჩატარების წესი, შიდა და ღია კონკურსის გამოცხადების ვადები, კონკურსის ეტაპები, კონკურსის ჩაშლის ან/და შეწყვეტის საფუძვლები, ახალი თანამშრომლის სოციალიზაციის მექანიზმები, თანამშრომელთა კარიერული განვითარების გზები და მექანიზმები, წახალისების ფორმები დ.ა.შ. მიმდინარე სასწავლო წელს სსიპ - ქალაქ ნინოწმინდის N4 საჯარო სკოლამ ინგლისური ენის მასწავლებლის ვაკანტურ პოზიციაზე გამოაცხადა კონკურსი, შექმნა საკონკურსო კომისია, რომლის შემადგენლობაში, სკოლის წარმომადგენლებთან ერთად, შედიოდნენ საგანმანათლებლო რესურსცენტრის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლები. ვაკანსია გამოქვეყნებული იყო ინტერნეტ სივრცეში არსებულ დასაქმების ვებგვერდზე – <http://teacherjobs.ge/>-ზე. დარეგისტრირებული პირებიდან, ზემოთ ხსენებული დოკუმენტის მოთხოვნათა გათვალისწინებით, კომისიამ შეარჩია ერთი კანდიდატი, რომელთანაც გაფორმდა შრომითი ხელშეკრულება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა თანამშრომელთა პირადი საქმეები. ამ დოკუმენტაციის მიხედვით დასაქმებული პირები აკმაყოფილებენ დაკავებულ თანამდებობებს. სკოლის მართვის საინფორმაციო სისტემიდან პორტირებული მონაცემების საფუძველზე დადასტურდა, რომ სკოლაში დასაქმებული თანამშრომლებიდან ყველა მასწავლებელს მინიჭებული აქვს შესაბამისი სტატუსი და შრომითი ხელშეკრულებებიც სტატუსების შესაბამისად არის გაფორმებული.
5. სკოლის პერსონალის მართვა ხორციელდება იმ ზოგადსაგვალდებულო სახის წესებით, რომელიც შემუშავებული და მიღებულია ამავე პერსონალის წარმომადგენლებისაგან, კერძოდ, შინაგანაწესი დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ, მაგრამ დამტკიცებამდე ყველა დაინტერესებულ პირს აქვს უფლება, წარმადგინოს ცვლილებათა პაკეტი ან ნორმის მისეული ინტერპრეტაცია. იგივე შეიძლება ითქვას პედაგოგიურ საბჭოსთან დაკავშირებით, სადაც სკოლა ამტკიცებს თავის სასკოლო გეგმას. აქაც, სასკოლო გეგმის შემუშავება ხორციელდება გუნდურად, კათედრების ჩართულობით და გადაწყვეტილებაც მიიღება გუნდურად, თუმცა საბჭოს ნებისმიერ წევრს აქვს უფლება დააფიქსიროს თავისი აზრი. ქ.ნინოწმინდის N4 საჯარო სკოლის პერსონალი არა თუ მონაწილეობას იღებს სასკოლო პროცესების მართვაში, არამედ გუნდურად არის პასუხისმგებელი ამ პროცესების სწორად წარმართვისათვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. სკოლის შინაგანაწესში გაწერილია, რომ პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სკოლა დასაქმებულის მიმართ იყენებს წახალისების შემდეგი ფორმებს: ა) მაღლობის გამოცხადება; ბ) სიგელით დაჯილდოება; გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა; ე) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა. მოცემული მექანიზმებიდან სკოლა პრაქტიკაში იყენებს მაღლობის გამოცხადებას, მხოლოდ ზეპირი ფორმით. სკოლას გააჩნია შესაბამისი ფინანსური რესურსი, წახალისოს პერსონალის წარმატებული პრაქტიკა, თუმცა ამის მაგალითი ვერ ვიპოვეთ. აღნიშნულიდან გამომდინარე, **სკოლას მიეცა რჩევა**, აამუშაოს თავის შიდა დოკუმენტაციაში გაწერილი პერსონალის/დასაქმებული პირის აღიარებისა და წახალისების მექანიზმები და გააჩინოს მოტივაცია სასკოლო საზოგადოების დანარჩენი წევრებისათვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი (ბრძანებასთან ერთად).
2. კონკურსის დოკუმენტაცია (ბრძანება, ოქმები).
3. პერსონალის პირადი საქმეები.
4. შინაგანაწესი
5. ინტერვიუ

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის შეფასების და მათი განვითარების საჭიროებათა მექანიზმები გაწერილია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში (რომელიც დანერგვის პროცესშია), თუმცა სკოლას არ აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევის პრაქტიკა. **სკოლას მიეცა რჩევა**, 2024/25 სასწ.წლის 1-ელი სემესტრის პერიოდში, მის მიერ მიღებული დოკუმენტის (ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი) საფუძველზე, სკოლის შიდა ადამიანური რესურსის გამოყენებით შექმნას სამუშაო ჯგუფი, რომელმაც უნდა მოიპოვოს სათანადო ინფორმაცია რეგიონის საჯარო სკოლებში არსებული წარმატებული პრაქტიკის თაობაზე, რისი გადამუშავებისა და საკუთარ სკოლაზე მორგების შემდეგ განახორციელოს სკოლის პერსონალის საქმიანობის შეფასება და გამოვლენილ პროფესიული განვითარების საჭიროებათა იდენტიფიცირება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. პირველადი ავტორიზაციის პროცესში აღნიშნული ინდიკატორი შეფასებას არ ექვემდებარება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლას გააჩნია საკუთარი რესურსი, რომლითაც უზრუნველყოფს პერსონალის კარიერულ ზრდას. ამ მხრივ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სკოლის მასწავლებლებიდან ყველა არის სტატუსიანი, მათ შორის 6 მასწავლებელი არის წამყვანის სტატუსის მატარებელი, ასევე ჰყავთ ერთი მენტორი მასწავლებელი. მასწავლებლებმა სტატუსები მიიღეს ურთიერთთანამშრომლობის, ცოდნის გაზიარებისა და სასკოლო რესურსების გამოყენებით. ვიზიტის დროს, აღნიშნული ჯგუფისაგან შეიმჩნეოდა მზაობა კოლეგების დახმარების მიმართულებით. სკოლამ საკუთარი სახსრებით მოახდინა ბუღალტრის გადამზადება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლაში შეიმჩნევა კეთილგანწყობილი გარემო, ჩამოყალიბებულია სკოლის თვითმყოფადი კულტურა, მოწესრიგებულია ურთიერთობები მასწავლებელსა და დირექცია-ადმინისტრაციას შორის. აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის ფაქტობრივი გარემოება, რომ სკოლის პერსონალი ინტერნაციონალურია, გარდა ქართველი ეროვნების მასწავლებლებისა, დასაქმებულები არიან სომეხი ეროვნების მასწავლებლები, რომლებიც სხვა სკოლაშიც (სომხურენოვანში) მუშაობენ. სკოლაში 2023 წლის სექტემბერში მიიღეს ინგლისური ენის ახალი მასწავლებელი (სომეხი ეროვნების), რომელიც სრულად არის ინტეგრირებული სასკოლო ცხოვრებაში, აქტიურად არის ჩართული უცხო ენების კათედრის მუშაობაში, რაც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი კათედრის ოქმით. სკოლის პერსონალი ჩართული არის სასკოლო პროცესებში, რასაც ადასტურებს სკოლის

დოკუმენტი სკოლის სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქცია-მოვალეობების შესახებ, ასევე, ამ ფუნქციების შესრულების შედეგად ნაწარმოები დოკუმენტები(ოქმები).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5.სკოლის დირექციასთან ინტერვიუს დროს შევეცადეთ გაგვეჩვენა, რამდენად არსებობს სკოლის პერსონალში საკუთარი პროფესიული განვითარების საჭიროებათა თაობაზე დირექციასთან კომუნიკაციის მცდელობები ან მაგალითები. ამ საკითხზე წერილობითი სახის დასაბუთება არ არსებობს, თუმცა აგვიხსნეს, რომ სკოლის ყველა მასწავლებელი გამართულად ფლობს კომპიუტერულ ტექნიკას და ეს შედეგი მიღწეული იქნა სწორედ მათი ინიციატივითა და სკოლისაგან გაწეული მხარდაჭერის საფუძველზე(მასწავლებლები მეცადინეობისათვის იყენებდნენ სკოლის მატერიალურ-ტექნიკურ და ადამიანურ რესურსს).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- 1.ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი
- 2.სკოლის დირექტორის ბრძანება სსიპ ქალაქ ნინოწმინდის N4 საჯარო სკოლის სტრუქტურული ერთეულების და პირების უფლებამოსილების დამტკიცების შესახებ(თანდართული წესი).
- 3.სამეურვეო, პედაგოგიური და მრცველთა საბჭოს ოქმები.
- 4.eschool-ის ბაზა.
- 5.ინტერვიუ კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ქ.ნინოწმინდის N4 საჯარო სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობის პროცესები ციკლური ხასიათისაა, ახალი სასწ.წლისათვის მზადება იწყება გასული სასწავლო წლის ანგარიშების საფუძველზე (კათედრების და პედაგოგიური საბჭოს ანგარიშები). 2023/24 სასწ.წლის სასკოლო გეგმის შემუშავების პროცესი დაიწყო 2023 წლის ივნისში, რომელზე მუშაობაც გაგრძელდა სექტემბრის პირველი კვირის განმავლობაში. ვიზიტის პერიოდში მიმდინარეობდა მოსამზადებელი სამუშაოები 2024/25 სასწ.წლის სასკოლო გეგმის პროექტის შემუშავებასთან დაკავშირებით. სკოლაში ფეხს იკიდებს სასკოლო კურიკულუმის რევიზიის მექანიზმი, დამტკიცებული აქვთ კურიკულუმის შექმნის და დანერგვის მეთოდოლოგიის დოკუმენტი. სკოლა გეგმავს, კიდევ უფრო აქტიური გახადოს სკოლის სტრუქტურული ერთეულების ჩართულობა სასკოლო კურიკულუმის შემუშავების და განხორციელების პროცესში, ასევე, ინტერვიუს დროს განგვიმარტეს, რომ ახალი სასწავლო წლიდან ხარისხის განვითარების ჯგუფი კიდევ უფრო მეტ ძალისხმევას მიმართავს საგნობრივი კურიკულუმებისა და შეფასების სისტემის დახვეწის მიმართულებით (ურთიერთდასწრება და ხარისხის ჯგუფის დასწრება გახდება უფრო ინტენსიური, უკუკავშირებს განახორციელებენ წერილობითი ფორმით).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.2024/25 სასწავლო წლის განმავლობაში, ქ.ნინოწმინდის N4საჯარო სკოლის სტრუქტურული ერთეულები გეგმავენ აქტივობებს, რომლის მიზანიც არის სასწავლო პროცესების ნორმალურ რეჟიმში წარმართვა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია სკოლის სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოს და დირექციის ჩართულობა. ჩამოთვლილი სტრუქტურული ერთეულების მიერ ხორციელდება ძირითადი პროცესების ადმინისტრირება(გრიფირებული სახელმძღვანელოების შერჩევა, ახალი სასკოლო გეგმის მიღება, საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველყოფისათვის რესურსის შეძენა). მნიშვნელოვანია, რომ 2023 წლის სექტემბერში სკოლამ მიიღო 7 წლიანი ციკლური განვითარების გეგმა, ხოლო მანამდე-სკოლის მისია-ხედვა-ღირებულებების დოკუმენტი. მიუხედავად იმისა, რომ ეს დოკუმენტაცია საჭიროებს დახვეწას, ერთგვარ ნახტომს წარმოადგენდა მმართველობითი სახის ძირითადი პროცესების განვითარების მიმართულებით. სკოლას ასევე იდენტიფიცირებული აქვს დამხმარე პროცესები, შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაციის მოწესრიგებისა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3.სკოლის შინაგანაწესში დეტალურად არის მოცემული პერსონალის, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ დირექციის გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა. სკოლაში შექმნილია დისციპლინური კომიტეტი, რომელსაც შეუძლია, საჭიროების შემთხვევაში აწარმოოს დისციპლინური მოკვლევა. სკოლას ამ დრომდე არ ქონია დისციპლინური სახის წარმოება, არც მშობლებისაგან/კანონიერი წარმომადგენლებისაგან ყოფილა გასაჩივრებული სკოლის რაიმე სახის გადაწყვეტილება. სკოლას ცალკე დოკუმენტის სახით აქვს დამტკიცებული „სკოლის დასაქმებულ პირთა, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლების და მოსწავლეთა მიმართ სკოლის დირექციის გადაწყვეტილების გასაჩივრების მექანიზმები“

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. გარდა შინაგანაწესისა, სკოლაში დასაქმებული პირების და მოსწავლეთა მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები გაწერილია სკოლასა და ამ უკანასკნელთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში. ამ მხრივ ნინოწმინდის N4 საჯარო სკოლასი სახეზე გვაქვს სპეციფიკური სურათი: სკოლაში სწავლობენ საქართველოს საპატრიარქოს დაქვემდებარებაში არსებული ობოლ და მზრუნველობა მოკლებულ ბავშვთა პანსიონის ბენეფიციარები. ხელშეკრულება გაფორმებულია სკოლასა და სოციალური სააგენტოს ნინოწმინდის განყოფილების თანამშრომელს(სოციალურ მუშაკს) შორის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. ხარისხის განვითარების მექანიზმების დოკუმენტი
2. პედსაბჭოს და სამეურვეო საბჭოს ოქმები (2023/24 სასწ. წლის).
3. სკოლის დასაქმებულ პირთა, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლების და მოსწავლეთა მიმართ სკოლის დირექციის გადაწყვეტილების გასაჩივრების მექანიზმების დოკუმენტი
4. სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები.
5. ინტერვიუ (დირექცია-ადმინისტრაცია)
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

.....
.....
.....

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასკოლო პროცესებთან დაკავშირებით სკოლა სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას ახდენს რამდენიმე მიმართულებით, კერძოდ, გამოიყენება დასწრებითი ფორმატი, სკოლის მთლიანი პერსონალის შეკრება და ინფორმაციის მიწოდება, ასევე, ინფორმაციის შემცველი დოკუმენტების საინფორმაციო დაფაზე განთავსება, სოციალურ ქსელში განთავსება. სკოლას აქვს ვებ.გვერდი, სადაც განთავსებულია სკოლის ოფიციალური დოკუმენტაცია. გამომდინარე იქიდან, რომ სკოლა მცირეკონტიგენტიანია და მოსწავლეთა ძირითად ნაწილს სკოლაში დასაქმებული პირების შვილები წარმოადგენენ, ამ უკანასკნელთათვის სიძნელეს არ წარმოადგენს სასკოლო პროცესებთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღება. აქვე აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ ბოლო პერიოდში გაიზარდა არაქართულენოვანი მოსახლეობის ინტერესი ქართული სკოლისადმი,

რისი მტკიცებულებაც გახლავთ 11 არაქართულენოვანი მოსწავლის ე.წ. ნინოწმინდის საჯარო სკოლაში ჩარიცხვისა და სწავლის ფაქტი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლაში ფუნქციონირებენ ისეთ კოლეგიური ორგანოები, რომლებიც არჩეულია სასკოლო საზოგადოების ფართო ჩართულობით. ამის მაგალითია სამეურვეო საბჭო, რომელიც შექმნილია პარიტეტის საფუძველზე, წარმოდგენილები არიან როგორც მასწავლებლები, ისე მშობლები და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე. სკოლაში შექმნილია დისციპლინური კომიტეტი, სადაც ასევე დაცულია პარიტეტი და წარმომადგენლობა. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც ასევე სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებით არის დაკომპლექტებული.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. სკოლის ვებ.გვერდი (skolebi.emis.ge/სსიპ ქალაქ ნინოწმინდის N4 საჯარო სკოლა/)

2. სკოლის facebook გვერდი.

3. საინფორმაციო დაფა

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართუა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);
2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ტერიტორიაზე დაცულია ფიზიკური უსაფრთხოება, სკოლის ეზო შემოღობილია, შენობაში განთავსებულია ვიდეოსათვალთვალო სისტემა. სკოლას განსაზღვრული ჰყავს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი (გადამზადებული კადრი). სკოლას გამოყოფილი ჰყავს კარისკაცი (სოციალური პროგრამის ფარგლებში დასაქმებული პირი), რომელიც აკონტროლებს შენობაში უცხო პირთა გადაადგილებას. იგივე პირი აწარმოებს ვიზიტორთა აღრიცხვას. სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას მორიგეობენ მასწავლებლები (სართულის მორიგეები). სკოლას ჰყავს სკოლის ექიმი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს პირველადი დახმარების აღმოჩენას. სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის მიმართულებით სკოლას დაწყებული აქვს პროცედურები (გაგზავნილი აქვთ უწყებაში წერილი მიწერილობის მიღების მიზნით). სკოლის შენობის მდგრადობასთან დაკავშირებით მიწერილი აქვთ სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსათვის და

ელოდებიან ექსპერტის მისვლას. საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით და შეთანხმებულია შსს შესაბამის დეპარტამენტთან. სკოლას წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად სასწავლო კორპუსის კონსტრუქციული მდგრადობის თაობაზე დასკვნის მოპოვებას შეძლებენ ერთი კალენდარული წლის განმავლობაში(2025 წლის სექტემბრამდე), ამავე გეგმაში მოცემულის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმების სავარაუდო თარიღი, თუმცა ვიზიტის დროს ეს გეგმა უკვე დამტკიცებული და შეთანხმებული იყო შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან. **სკოლის მიმართ გაცემული იქნა რეკომენდაცია**, განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები და შენობის კონსტრუქციული მდგრადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მოპოვება უზრუნველყოს 2025 წლის აპრილის ჩათვლით პერიოდში, ასევე, იგივე ვადაში უზრუნველყოს შენობის სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის დადგენის დასკვნის წარმოდგენა. **სკოლას მიეცა რჩევა**, შრომის უსაფრთხოების კვალიფიციური კადრთანშრომითი ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებით.

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია

2.სკოლას ჰყავს სკოლის ექიმი, რომლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის N41/ნ-23/ნ ბრძანებით დამტკიცებული სტანდარტის მოთხოვნებთან(პედიატრია). ერთობლივი სათანადოდ აღჭურვილია ექიმის კაბინეტი. ექიმის კაბინეტში განთავსებულია პირველადი დახმარების საშუალებები(მედიკამენტი და აღჭურვილობა), ექიმი აწარმოებს მიმართვიანობისა და გაცემული მედიკამენტების აღრიცხვას. ვიზიტის დროს განგვიმარტეს, რომ საჭიროების შემთხვევაში(რთული მდგომარეობის დროს, რაც იშვიათია) იძახებენ „112“ .

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.სკოლის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი(რომელიც გადამზადებულია მანდატურის სამსახურის მიერ), ასევე, სართულის მორიგეები, დღის დარაჯი(კარისკაცი), ვიდუოსათვალთვალო სისტემა(8 კამერა), რომელიც განთავსებულია შიდა და გარე პერიმეტრზე. აღნიშნული სისტემა სრულად ფარავს სკოლის შენობის მიმდებარე ტერიტორიას და იძლევა კონტროლის ეფექტურად განხორციელების შესაძლებლობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს სკოლა ქმნის სკოლის ექიმის, სპაციალური მასწავლებლის, დირექციის და კლასის დამრიგებლების მეშვეობით. მოსწავლეებისთვის სკოლაში შექმნილია პოზიტიური გარემო, თავს დაცულად გრძნობენ და სასკოლო სივრცე მათთვის უსაფრთხო გარემოს წარმოადგენს. ბრძანებით განსაზღვრულია რეფერირების პროცესზე პასუხისმგებელი პირი. სკოლაში არ დაფიქსირებულა ძალადობის შემთხვევები და შესაბამისად, გადამისამართებას ადგილი არ ქონია. როგორც ავლნიშნეთ, სკოლას აქვს ობოლ და მზრუნველობა მოკლებულ ბავშვებთან ურთიერთობის პრაქტიკა, ვიზიტის პერიოდში დირექციის წარმომადგენლებმა აგვიხსნეს, რომ ხშირ შემთხვევაში სკოლის მთელ პერსონალს უხდებოდა მშობლის და ფსიქოლოგის ფუნქციების შესრულება, რათა მოეხდინათ ამ ტიპის მოსწავლეების სკოლის გარემოსთან ადაპტაცია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. სსიპ - ქალაქ ნინოწმინდის N4 საჯარო სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვას, სკოლაში დასაქმებულია საშტატო განრიგით გათვალისწინებული 2 დამლაგებელი. სკოლას აქვს ფინანსური რესურსი ჰიგიენური და დასუფთავებისათვის საჭირო ინვენტარისა და საშუალებების შესაძენად. ვიზიტის პერიოდში არ დაფიქსირებულა დაბინძურების ფაქტი, მოვლილი იყო საკლასო ოთახები, საერთო სარგებლობის სივრცეები და სველი წერტილები. ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი ახორციელებს დამლაგებლების მიერ შესრულებული სამუშაოს პერიოდულ მონიტორინგს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. სკოლის დირექტორის ინდ. აქტით დამტკიცებულია დოკუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრთა პერსონალური მონაცემების დაცვას. პირადი მონაცემების შემცველი დოკუმენტაცია (პერსონალის პირადი საქმეები) ინახება ადმინისტრაციის ოთახში, ხოლო მოსწავლეთა პირადი საქმეები კი დამრიგებლებთან, დაცულ ადგილას. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას გააჩნია პერსონალური მონაცემების დაცვის გამართული მექანიზმები (თუ არ ჩავთვლით იმ ფაქტს, რომ პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცერი არ ჰყავთ), სკოლა სრული მოცულობით ვერ ახდენს აღნიშნული მონაცემების დაცვას, ამის თაობაზე სკოლის დირექცია-ადმინისტრაციის წარმომადგენლებმაც მოგვაწოდეს ინფორმაცია და გამოთქვეს მზაობა, მეტი

სიფრთხილით და გულისხმიერებით მოეკიდონ აღნიშნული საკითხის მოწესრიგებას. სკოლას მიეცა რჩევა, პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცრის აყვანასთან/განსაზღვრასთან დაკავშირებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

7. გარდა პერსონალური მონაცემებისა, სკოლას შეეხება აქვს სხვა სახის ინფორმაციასთანაც. როგორც ავლნიშნეთ, სკოლას გააჩნია ობილ და მზრუნველობამოკლებულ ბავშვებთან მუშაობის გამოცდილება და ეს პრაქტიკა ახლაც გრძელდება. აქედან გამომდინარე, სკოლა მაქსიმალურად ცდილობს, დაიცვას გარკვეულ საკითხებზე არსებული და სკოლისათვის ცნობილი ინფორმაცია. იგივეს აკეთებენ მშობლებისათვის/კანონიერი წარმომადგენლებისათვის მოსწავლეთა აკადემიური შედეგების გაცნობის შემთხვევაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

8. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების რისკების განსაზღვრას და პრევენციული სახის რეკომენდაციების გაცემას. მრჩეველთა საბჭოს დოკუმენტაციის(ოქმების) შესწავლის საფუძველზე ცალსახად იკვეთება, რომ სკოლა ახლა იწყებს აღნიშნული მექანიზმების დანერგვას(ექსპერტთა ჯგუფის გადაწყვეტილებით, პირველადი ავტორიზაციისას ეს ინდიკატორი არ შეფასდება).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. უსაფრთხოებასა და საზ. წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის ბრძანება.
2. მორიგეობის განრიგი.
3. ექიმის დანიშვნის ბრძანება
4. ვიდუოსათვალთვალთ სისტემა(ვიზუალური დათვალიერებით).
5. სკოლის მიერ ავტორიზაციისათვის გადმოგზავნილი დოკუმენტაცია.
5. მრჩეველთა საბჭოს ოქმები.
6. ინტერვიუ დირექცია-ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სსიპ ქ.ნინოწმინდის საჯარო სკოლის შენობა ორსართულიანია, გათვლილია 160 მოსწავლეზე. შენობის ინფრასტრუქტურული მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, როგორც აგვიხსნეს, ჩასმულია სარეაბილიტაციო სკოლათა ნუსხაში და დიდი ალბათობით სამუშაოები დაიწყება უახლოეს ხანში. სკოლას გააჩნია კომპიუტერული ტექნიკის საკმარისი რესურსი(36 კომპიუტერი აქვთ), ლაბორატორია აღჭურვილია, აქვთ პროექტორებისა და სკანერების საკმარისი ოდენობა. დირექცია-ადმინისტრაცია სრულად არის უზრუნველყოფილი კომპიუტერებით. სკოლას არ გააჩნია სპორტული დარბაზი, მის ნაცვლად იყენებენ მოზრდილ საკლასო ოთახს, რომელიც ასევე ასრულებს სააქტო დარბაზის ფუნქციებს(მხოლოდ ტენისის მაგიდა დგას). საკლასო ოთახები და

ინვენტარი ნორმალურ მდგომარეობაშია და ვარგისია გამოსაყენებლად. სპორტული მოედანი არ აქვთ, არის მხოლოდ ტერიტორია, რომელზეც შესაძლებელია მოეწყოს მინი სპორტული მოედანი. სკოლას აქვს ნორმალური დონის ბიბლიოთეკა სასწავლო და მხატვრული ლიტერატურით. ვიზიტის დროს დირექციას ვურჩიეთ, რომ განაახლონ წიგნადი ფონდი, ასევე, გაითვალისწინონ ის მოცემულობა, რომ ამ სკოლაში არაქართულენოვანი მოსწავლეებიც ირიცხებიან და მათზე მორგებული ლიტერატურა შეიძინონ(მით უმეტეს, რომ საამისო ფინანსური რესურსი აქვთ). სკოლა არ არის ადაპტირებული, ამ ეტაპზე ერიცხებათ 1 სსსმ მოსწავლე, რომელსაც არ აქვს გადაადგილების პრობლემა. დირექტორმა აგვიხსნა, რომ სკოლა ჩასმულია სარეაბილიტაციო სკოლათა ნუსხაში და იმედი აქვთ, გარემონტების შედეგად შენობა გახდება სრულად ადაპტირებული. სკოლაში ირიცხება 29 მოსწავლე და სასწავლო პროცესი მიმდინარეობს 2 ცვლაში, რაც ამ დაწესებულებისათვის ერთგვარ გამოწვევად შეიძლება ჩაითვალოს. საქმე იმაშია, რომ სკოლის მეორე სართულის ფართის თითქმის ნახევარი დათმობილი აქვს ქ.ნინოწმინდის საგანმანათლებლო რესურსცენტრს. აღნიშნული გარემოების გამო, ყველა კლასი ვერ ახერხებს პირველ ცვლაში სწავლას და უხდებათ მე-2 ცვლის გამოყენება. ამ ეტაპზე სკოლას გააჩნია 120 მოსწავლეზე გათვლილი მატერიალურ-ტექნიკური რესურსი. ექსპერტთა ჯგუფი ვთანხმდებით იმაზე, რომ ორი ცვლის შემთხვევაში სკოლას აქვს შესაძლებლობა ზოგადი განათლების სერვისი მიაწოდოს 120 მოსწავლეს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.სსიპ - ქალაქ ნინოწმინდის N4 საჯარო სკოლის ინფრასტრუქტურა, საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის. სკოლას დამტკიცებული აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი. სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია და ბიბლიოთეკა. საბუნებისმეტყველო საგნობრივი მიმართულების ლაბორატორია არ აქვთ, აქვთ მცირე რესურსი, რომელიც განთავსებულია ერთ საკლასო ოთახში და იყენებენ, როგორც თვალსაჩინოებას. სკოლის ბიბლიოთეკით სარგებლობა შეუძლია სასკოლო საზოგადოების ნებისმიერ წევრს. კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებული ელ.ტექნიკა სრულად აკმაყოფილებს სასკოლო საზოგადოების საჭიროებებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.სკოლას დამტკიცებული აქვს ბიბლიოთეკის რესურსით სარგებლობის წესი. მხატვრული და სასწავლო ლიტერატურა აღწერილია, შედგენილი აქვთ ელექტრონული კატალოგი. ბიბლიოთეკის სივრცე და იქ განლაგებული ინვენტარი იძლევა საშუალებას, სკოლის ნებისმიერმა პირმა ადგილზე მოიხმაროს ბიბლიოთეკის რესურსი. ბიბლიოთეკართან გასაუბრებისას გავარკვეით, რომ მოსწავლეებს და პერსონალს სახლებშიც მიაქვთ წიგნები და აბრუნებენ გათვალისწინებულ დროს. ასევე, ცალკე

აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ სკოლაში დასაქმებული მასწავლებელი ასევე გახლავთ მწერალი. მისი და ბიბლიოთეკარის თაოსნობით ამ სივრცეში იმართება ბევრი საინტერესო ღონისძიება. ეს ყველაფერი ბიბლიოთეკას აქცევს ყველასათვის მიმზიდველ, სოცო-კულტურული დანიშნულების მქონე სივრცედ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, სკოლის შენობა არ არის ადაპტირებული. მიუხედავად ამისა, ინფრასტრუქტურა დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია, ხელისშემშლელი გარემოება არ არსებობს საკლასო ოთახების და სკოლაში არსებული რესურსის გამოყენების მიმართულებით. სკოლას გააჩნია თავისუფალი ტერიტორია სპორტული მოედნის მოწყობისათვის, დირექციასთან გასაუბრებისას გავარკვეით, რომ დაგეგმილია სკოლის სრული რეაბილიტაცია, რის დროსაც შესაძლოა ღია სპორტული მოედანიც აშენდეს. სკოლას წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვით 2024 წლის აპრილიდან 2026 წლის აპრილის პერიოდში სასწავლო კორპუსი უნდა გახდეს სრულად ადაპტირებული (მოეწყოს პანდუსი, სართულებზე გადაადგილების საშუალება (ლიფტი), ადაპტირებული სველი წერტილი). **სკოლის მიმართ გაცემული იქნა რეკომენდაცია**, მის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ დროის მონაკვეთში (2024 წ. აპრილი-2026 წლის აპრილი) განახორციელოს ქმედითი ღონისძიებები იმისათვის, რომ 2026 წლის აპრილის ბოლოს სასწავლო კორპუსი გახდეს სრულად ადაპტირებული.

ინდიკატორი ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია

5. სკოლის ინფრასტრუქტურა შეძლებისგვარად ემასახურება ინდიკატორით გათვალისწინებულ მიზნებს. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სკოლის ბიბლიოთეკა და კომპიუტერული ტექნიკის ლაბორატორია. სკოლის ეზოში შესაძლებელია მოეწყოს სოცო-კულტურული დანიშნულების კუთხე (ფართი არის). სკოლა გეგმავს, მას შემდეგ, რაც დასრულდება სკოლის შენობის რეაბილიტაცია, განახორციელოს აქტივობები ეზოს მოწესრიგების მიმართულებითაც. როგორც აგვიხსენეს, სკოლას ემატება პროფესიული განათლების პროგრამები, რომლის სწავლებაც განხორციელდება ცალკე კორპუსში (საამისოდ ახალი შენობა უნდა აიგოს სკოლის ეზოში, ამ მხრივ ტექნიკური საკითხები უკვე მოგვარებულია).

სკოლას მიეცა რჩევა, ეზოს ფართის და კონფიგურაციის გათვალისწინებით, შეარჩიოს ადგილი რეკრეაციული კუთხის მოსაწყობად, რომელიც ასევე შეიძლება გამოდგეს სოცო-კულტურული დანიშნულების სივრცედ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. სკოლის ინფრასტრუქტურის დათვალიერება.
2. ინტერვიუ სკოლის დირექციასთან კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☒ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს კომპიუტერული ტექნიკის საკმარისი ოდენობა, მუშა მდგომარეობაშია 36 კომპიუტერი (მათ შორის აქვთ პერსონალური კომპიუტერები), ინტერნეტი (WIFI) ხელმისაწვდომია სკოლის შენობის მთელ ტერიტორიაზე. სკოლას არ აქვს ცალკე ფართი კომპიუტერული ლაბორატორიის მოსაწყობად, ამიტომ ეს რესურსი განთავსებულია ჩვეულებრივ საკლასო ოთახში. კომპიუტერული ტექნოლოგიების კლასით სარგებლობის საკითხი დარეგულირებულია გაკვეთილების ცხრილით. როგორც ავღნიშნეთ, სკოლა მცირეკონტიგენტანია, კლასში მოსწავლეთა რაოდენობა არ აღემატება 4-ს, შესაბამისად, ყველა მოსწავლეს აქვს საშუალება, მხოლოდ თვითონ გამოიყენოს კომპიუტერი. ადმინისტრაცია სრულად უზრუნველყოფილია კომპიუტერული ტექნიკით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. როგორც ავლნიშნეთ, სკოლის დირექცია-ადმინისტრაცია სრულად უზრუნველყოფილია ტექნოლოგიური რესურსით, კლასში განთავსებული კომპიუტერული ტექნიკა ხელმისაწვდომია როგორც მოსწავლეების, ისე დანარჩენი პერსონალისათვის. დირექტორმა განგვიმარტა, რომ მოსწავლეები აქტიურად იყენებენ სკოლის ტექნოლოგიურ რესურსს, აქვე ამზადებენ დავალებებს, სკოლის პერსონალიც შეუზღუდავად იყენებს ამ რესურსს. სკოლას დამტკიცებული აქვს კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი, მართალია, კლასიკური გაგებით ლაბორატორია არ აქვთ, მაგრამ ეს წესი მაინც მოქმედებს საკლასო ოთახში განთავსებული რესურსის მოხმარების დროს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. კომპიუტერების კლასის დათვალიერება

2. ინტერვიუ დირექციის წარმომადგენლებთან.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

.....
.....
.....

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების წესი. აქტიურად იყენებენ დოკუმენტბრუნვის ელ.სისტემას. სკოლას აქვს ელექტრონულ ფოსტაზე და მატერიალური სახით შემოსული დოკუმენტაციის (წერილების, განცხადებების) აღრიცხვისა და დანიშნულებისამებრ გადამისამართების პრაქტიკა. სკოლა დირექტორის ინდ. აქტების გამოცემისათვის იყენებს eflow-ს, რაც შეეხება მატერიალური სახის დოკუმენტაციას, მისი აღრიცხვა წარმოებს ცალკე ჟურნალში (მანამდე ატარებენ ელექტრონულად). სკოლის სტრუქტურული ერთეულები აწარმოებენ თავიანთ დოკუმენტაციას (კოლეგიური ორგანოების შემთხვევაში - ოქმებს), სკოლის მიერ გამოგზავნილ დოკუმენტაციაში ფიქსირდებოდა გარკვეული სახის ხარვეზი დოკუმენტის დანომვრასთან დაკავშირებით, კერძოდ, პედსაბჭოს 2023 წლის სექტემბრის ოქმი იწყებოდა N1- ნომრით, რაზეც სკოლისათვის გაცემული იქნა შესაბამისი რჩევა. იმავე წესში განსაზღვრული იყო, რომ სკოლის ელ. ფოსტაზე შემოსული წერილების რეგისტრაციის ვალდებულება ქონდა დირექტორის მოადგილეს, რაზეც ასევე გაცემული იქნა შესაბამისი მითითება (საქმისმწარმოებელი ჰყავთ და მის ფუნქციებში გაწერილი აქვთ შემოსული და გასული კორესპოდენციების აღრიცხვის ვალდებულება).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. როგორც ავნიშნეთ სკოლა აქტიურად იყენებს დოკუმენტბრუნვის ელ.სისტემას. სკოლას გააჩნია ოფიციალური ელექტრონული ფოსტა (ninotsminda4@mes.gov.ge), რომლის მეშვეობითაც კონტაქტობენ როგორც ორგანიზაციებთან (მათ შორის რესურსცენტრთან), ისე კერძო პირებთან (საჭიროების შემთხვევაში). ავნიშნულის გარდა სკოლა მუშაობს eflow-ში, იღებს და აგზავნის მონაცემების შემცველ კორესპოდენციებს. გარდა ჩამოთვლილისა, სკოლა იყენებს rs.ge, spa.ge და signature.ge-ს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლის eschool ბაზაში ასახულია სრულყოფილი ინფორმაცია სკოლის მისამართის, ელ. ფოსტის, მოსწავლეების, მათი მშობლების კანონიერი წარმომადგენლის, საკონტაქტო პირების, საცხოვრებელი მისამართების, ელექტრონული ფოსტების და ტელეფონის ნომრების შესახებ. სრულყოფილი ინფორმაციაა ასახული სკოლის პერსონალის განათლების, კვალიფიკაციის, სამუშაო გამოცდილების, საკონტაქტო მონაცემების, საათობრივი დატვირთვის, საცხოვრებელი მისამართის შესახებ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლა აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზდრობის სამინისტროს ტერიტორიულ ერთეულთან - ქალაქ ნინოწმინდის საგანმანათლებლო რესურსცენტრთან, აწვდის მოთხოვნილ ინფორმაციას შესაბამისი ფორმით. სკოლას აქტიური ურთიერთობა აქვს სამინისტროს სსიპ-ებთან (ესიდა, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი), ამას გარდა, სკოლა

თანამშრომლობს ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებთან. სკოლა გარკვეული სახის ინფორმაციას უგზავნის პარლამენტს, პრეზიდენტის ადმინისტრაციას, მთავრობის ადმინისტრაციას და იგივე ანგარიშს აქვეყნებს სს“საკანონმდებლო მაცნე“-ში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

1.სკოლის დოკუმენტრუნვის ელ.სისტემის დათვალიერება.

2.eschool-ის ბაზა.

3.10 დეკემბრის ანგარიშები

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

.....
.....
.....

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული

აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საზოგადოების ინფორმირებისათვის სკოლას აქვს გამართული სისტემა. სოციალურ ქსელში სკოლას გააჩნია საკუთარი Facebook გვერდი, გარდა ამისა, აქვთ მშობელთა ჩატები და იყენებენ მესენჯერს. როგორც დირექტორმა აგვიხსნა, საზოგადოება უფრო მეტად იყენებს სოციალურ ქსელში არსებულ სკოლის გვერდს. გარდა ჩამოთვლილისა, სკოლას აქვს ოფიციალური ვებ.გვერდი (skolebi.emis.ge/სსიპ_ქალაქ_ნინოწმინდის_N4_საჯარო_სკოლა/), სადაც განთავსებულია ყველა მნიშვნელოვანი

დოკუმენტი და ინფორმაცია ზოგადი განათლების სერვისის შესახებ (პროგრამები). გარდა ზემოთ აღნიშნულისა, სკოლა აქტიურად იყენებს დასწრებითი სახის შეხვედრებს და ღონისძიებებს, შიდა სასკოლო საზოგადოების ინფორმირების მიზნით აწყობს თათბირებს, ასევე, მნიშვნელოვან ინფორმაციას განათავსებს სკოლის საინფორმაციო დაფაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლის ვებ.გვერდზე განთავსებული ინფორმაცია და დოკუმენტაცია სანდოა, რადგან დოკუმენტები დამტკიცებულია მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით გათვალისწინებული წესით. სკოლის ვებ.გვერდის ადმინისტრირებას ახდენს სკოლის დირექტორი და მოადგილე, სკოლა ახორციელებს ზოგადი განათლების მიწოდებას სამივე საფეხურზე და ამის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ვებ.გვერდზე. იქვე განთავსებულია დოკუმენტი მოსწავლის ჩარიცხვის, კლასის და საფეხურის დაძლევის, მობილობის, ამორიცხვის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლას არ აქვს საზოგადოების მხრიდან წერილობითი სახის ისეთი უკუკავშირის ქონის პრაქტიკა, რომელიც ორიენტირებული იქნებოდა ხარისხის გაუმჯობესებაზე. ასეთი უკუკავშირები უფრო სურვილის დონეზეა და გამოიხატება სიტყვიერად. ექსპერტთა ჯგუფის გადაწყვეტილებით, პირველადი ავტორიზაციისას აღნიშნული ინდიკატორი არ შეფასდება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლას გააჩნია მოქმედი ვებ.გვერდი (skolebi.emis.ge/სსიპ_ქალაქ_ნინოწმინდის_N4_საჯარო_სკოლა/), რომელზეც ყველა ინფორმაცია განთავსებულია სახელმწიფო ენაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.



5.სკოლის ვებ.გვერდზე განთავსებულია შემდეგი სახის ინფორმაცია: მისია-ხედვა-ღირებულებების დოკუმენტი, სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, სკოლის სტრუქტურა, პროგრამები, მოსწავლეთა ჩარიცხვა-ამორიცხვის, კლასის და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების დოკუმენტი, შინაგანაწესი, სკოლის გადაწყვეტილების გასაჩივრების მექანიზმების დოკუმენტი, სკოლის ბიუჯეტი, ფინანსური მდგრალობის ანგარიში. სკოლა აპირებს, 2024/25 სასწავლო წლის დადგომასთან ერთად გვერდზე ატვირთოს ახალი წლიური სასკოლო გეგმა, ასევე, მოახდინოს უკვე ატვირთული დოკუმენტაციის გადახედვა მათი კიდევ უფრო დახვეწის მიზნით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

1.სკოლის ვებ.გვერდი(skoebi.emis.ge)

2.სკოლის facebook გვერდი.

3.ინტერვიუ სკოლის დირექციასთან

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

.....
.....
.....

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მიუხედავად იმისა, რომ სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ხარვეზიანია (რადგან ორი თვე ამოკლებული აქვს), სკოლა ახერხებს შეინარჩუნოს მდგრადობა და იკმაროს თავისი რესურსი სკოლის წინაშე არსებული საკითხების გადასაჭრელად. სკოლა საკუთარი ფინანსური სახსრებით ახდენს პერსონალის ხელფასებისა და კომუნალური ხარჯების დაფარვას. დარჩენილი ნაშთი მიმართულია სასწავლო რესურსების და სანტარულ-ჰიგიენური საშუალებების შეძენისათვის. 2023 წლის ბიუჯეტში ჩასმული ქონდათ შენობისათვის კოსმეტიკური სახის რემონტის ჩატარება, რისთვისაც გაიხარჯა 19000 ლარი. სკოლას არ გააჩნია საბუნებისმეტყველო საგანთა ლაბორატორიები, თუმცა სკოლას ქონდა და ახლაც აქვს ფინანსური რესურსი ასეთი ლაბორატორიების მოსაწყობად. სკოლის დირექტორმა აგვიხსნა, რომ არ აქვთ ლაბორატორიის მოწყობისათვის საჭირო ფართი და ელოდებიან შენობის რეაბილიტაციას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლა მომავალი წლის ბიუჯეტს ამტკიცებს კალენდარული წლის ბოლოს (შესყიდვების გეგმის დამტკიცებამდე). 20 ნოემბრამდე ამტკიცებს შესყიდვების წლიურ გეგმას. სკოლას არ აქვს შესყიდვების გეგმის შედგენაში სასკოლო საზოგადოების, სკოლის საჭიროებათა კვლევის და სკოლის სტრუქტურული ერთეულების ჩართულობის პრაქტიკა. სკოლა საკუთარ ფინანსურ სახსრებს განკარგავს მომჭირნედ, ახდენს ბაზრის კვლევას (ძირითადად იძენენ საკანცელარიო საქონელს, თვალსაჩინოებებს და ჰიგიენურ საშუალებებს). სკოლის მიერ წარმოდგენილი რამდენიმე ხელშეკრულება (შესყიდვის) და მასში ფიქსირებული მიზერული თანხები ნათლად ადასტურებს იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ სკოლა მიზანმიმართულად ახდენს სახსრების ხარჯვას. წინა ინდიკატორში ავღნიშნეთ, რომ სკოლამ თავისი სახსრებით მოახდინა შენობის კოსმეტიკური გარემონტება, ასევე, მავთულბადით შემოღობა ეზოს ნაწილი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. სკოლის ბიუჯეტი.
2. შესყიდვების გეგმა თანდართულ დოკუმენტებთან ერთად.

3. შესყიდვის ხელშეკრულებები

4. ინტერვიუ სკოლის დირექტორთან და ბუღალტერთან

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

.....

.....

.....

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ქალაქ ნინოწმინდის N4 საჯარო სკოლაში მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის მექანიზმს შეიცავს ამავე სკოლის შინაგანაწესი, რომელიც შემუშავებული და დამტკიცებულია სასკოლო საზოგადოების ფართო ჩართულობით. აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილი ნორმების თანახმად მოსწავლე დაცულია ნებისმიერი სახის ძალადობისაგან, როგორც სკოლის პერსონალის, ისე დანარჩენი მოსწავლეების მხრიდან. შინაგანაწესში მოცემულია დისციპლინური გადაცდომების სახეები მათთვის გათვალისწინებულ სახდელებთან ერთად. აღნიშნულის გათვალისწინებით, თუ მოსწავლის მიმართ განხორციელებული ქმედება შეიცავს გადაცდომის ნიშნებს, დამრღვევი პირის მიმართ ამოქმედდება შესაბამისი მექანიზმი. აღსანიშნავია, რომ სკოლას ამ დრომდე არ აქვს დისციპლინური წარმოების შემთხვევები. როგორც ავლნიშნეთ, სკოლას მრავალეტნიკურ გარემოში უხდება ცხოვრება, მოსწავლეთა ნაწილი არაქართულენოვანია, სკოლაში დამკვიდრებულია მიმდებლობითი კულტურა, რაც ქმნის ნიადაგს სასკოლო პროცესის დარღვევების გარეშე წარმართვისათვის.

მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმები გვხვდება მშობელსა/კანონიერ წარმომადგენელსა და სკოლას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში, სკოლის მიერ დამტკიცებულ რეფერირების წესში, სკოლის რესურსით სარგებლობის წესში და ა.შ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. როგორც ავლნიშნეთ, სკოლის შინაგანაწესი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ფართო ჩართულობით, რაც უზრუნველყოფს მის გამჭირვალეობას. სკოლის შინაგანაწესი წარმოადგენს ფუნდამენტურ დოკუმენტს მოსწავლეთა უფლებების დაცვის მიმართულებით, თუმცა სკოლაში ასევე არსებობს სხვა სახის აქტებიც (სკოლის რესურსით სარგებლობის წესი, მოსწავლის რეფერირების წესი, სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება), რომელთა რეგულაციები ასევე გამჭირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისაგან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლის ყველა მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია ხელშეკრულება, რომელშიც გაწერილია სკოლის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლება-მოვალეობები, ინფორმაცია სკოლის მიერ მიწოდებული მომსახურების თაობაზე. სკოლის მოსწავლეთა გარკვეული ნაწილი წარმოადგენს ობოლ და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონის ბენეფიციარს, შესაბამისად, ხელშეკრულებები გაფორმებულია სკოლასა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოციალური სამსახურის შესაბამის წარმომადგენელთან (სოციალურ მუშაკთან).

სკოლა იცავს აღნიშნული ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. სკოლის შინაგანაწესი
2. მატერიალური რესურსით სარგებლობის წესი
3. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.
4. კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი
5. სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

.....
.....
.....

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის დოკუმენტი (დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 11 აპრილის N32 ბრძანებით). აღნიშნული აქტი ემყარება საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N04 ბრძანებით დამტკიცებულ რეგულაციებს. სკოლის პირველ

კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა რეგისტრაცია ხორციელდება ელექტრონულად, საჯარო სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით განსაზღვრული პირველ კლასში ჩასარიცხი მოსწავლეთა რიცხოვნობის ფარგლებში, მართვის სისტემის ოფიციალურ ვებგვერდზე, მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტით განსაზღვრული ფორმის/ფორმების შესაბამისად. სკოლას აქვს მოსწავლეთა მობილობის პრაქტიკა(სკოლიდან გადასულის და სკოლაში შემოსული მოსწავლის ჩარიცხვა/ამორიცხვასთან დაკავშირებით). ამის დამამტკიცებელ მაგალითად გამოდგება სკოლის დირექტორის 2024 წლის 22 იანვრის N2 ბრძანება მობილობით გადმოსული მოსწავლის ჩარიცხვასთან დაკავშირებით, იგივე ვითარება იყო სასწავლო წლის დასაწყისშიც. 2020 წლის შემდეგ მოსწავლის სტატუსის შეჩერება/შეწყვეტის საჭიროება არ დამდგარა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.Eschool-ის ბაზაში, ასევე, მატერიალურად არსებულ დოკუმენტებში(მოსწავლის პირადი საქმე) სკოლას მოწესრიგებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დამლევა, მობილობის, სტატუსის შეჩერება/აღდგენის ფორმალური მხარე. პარალელურ რეჟიმში დავათვალიერეთ მოსწავლეთა პირადი საქმეები, რაც ასევე მოწესრიგებული აქვთ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.სკოლა ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების სერვისის მიწოდებას უზრუნველყოფს დაწყებით-საბაზო-საშუალო საფეხურებზე. აღნიშნული სერვისის შესახებ ძირითადი ინფორმაცია განთავსებულია სასკოლო-სასწავლო გეგმაში, რომლის დანერგვაც წარმოებს საგნობრივი კურიკულუმების მეშვეობით. ამ საკითხების შესახებ საზოგადოებას/მოსწავლეთა მშობლებს ინფორმაცია მიეწოდებათ სკოლის დირექციისაგან და მასწავლებლებისაგან. საამისოდ გამოყენებული აქვთ დასწრებითი შეხვედრების ფორმატი(მშობელთა კრება). იგივე სახის ინფორმაცია განთავსებულია ვებგვერდზე. ამ ეტაპისათვის სკოლას მოსწავლეებისათვის შეთავაზებული არ აქვს ფასიანი სერვისი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლის მიერ ინფორმაციის გავრცელების ძირითად საშუალებას წარმოადგენს დასწრებითი სახის შეხვედრები. სკოლას აქვს მოქმედი ვებ.გვერდი, სადაც განთავსებულია ინფორმაცია შეთავაზებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ. სკოლას სოციალურ ქსელში(Facebook) აქვს გვერდი, სადაც ძირითადად განთავსებულია სასკოლო აქტივობების(ღონისძიებების) ამსახველი ფოტო/ვიდეო მასალები. სკოლის დირექცია-ადმინისტრაციასთან გასაუბრების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ კანონმდებლობასთან წინააღმდეგობაში არ მოდის.



ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი.
2. დირექტორის ბრძანებები მოსწავლეთა სკოლიდან ამორიცხვა/ჩარიცხვასთან დაკავშირებით კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

.....

.....

.....

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას



კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის მექანიზმი, რომელიც გაწერილია დოკუმენტურად (დამტკიცებულია 2024 წლის 31 იანვრის N4 ბრძანებით). სასწავლო გარემოსთან ადაპტირების ძირითადი სამუშაოები სრულდება კლასის დამრიგებლის მიერ. როგორც ავლნიშნეთ, სკოლას ცხოვრება უხდება მულტიკულტურულ გარემოში, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის ადაპტაციის პროცესის სწორი მიმართულებით წარმართვას. **სკოლას მიეცა რჩევა**, სკოლის თანამშრომელთაგან განსაზღვროს პირი, რომელიც კოორდინაციას გაუწევს მოსწავლეთა ადაპტირების პროცესს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. მოსწავლეთა ადაპტაციის მხარდაჭერა ხორციელდება მთელი სასწავლო წლის განმავლობაში, მაგრამ განსაკუთრებული დატვირთვა მოდის სასწავლო წლის დასაწყისში, ასევე, დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებთან. პირველკლასელებთან მიმართებაში, კლასის დამრიგებელთან ერთად მოსწავლეები თანხმდებიან კლასში/სკოლაში ქცევის მარტივ წესებზე, ხოლო მაღალ საფეხურებზე ტარდება სადამრიგებლო საათები, რომელზეც განიხილება შინაგანაწესის მოსწავლესთან შემხებლობაში არსებული ნორმები, ასევე, სკოლაში დამკვიდრებული ზოგადი კულტურის და წესების საკითხები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. მოსწავლეებს და მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აქვთ ინფორმაცია აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების კანონიერი მექანიზმების თაობაზე. აღნიშნულ ინფორმაციას სკოლა ამ უკანასკნელთ აწვდის სასწავლო წლის განმავლობაში, სემესტრის დასრულების პერიოდში. სკოლას აქვს ექსტერნის პრაქტიკა, 2023/24 სასწ.წლის დასრულებისას ჩატარდა 30% გაცდენების ექსტერნი, ხოლო 2020 წლამდე პერიოდში ქონდათ ასაკობრივი ექსტერნის გამოცდებიც (ძირითადად, პანსიონის ბენეფიციარებისათვის). ენობრივი ბარიერის მქონე მოსწავლეებთან სკოლა მუშაობს ინდივიდუალურად, მათი საჭიროების შესაბამისად. მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას ენობრივი ბარიერის მქონე მოსწავლეებთან სამუშაო პრაქტიკის გაზიარების მიზნით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. ყოველი სასწავლო სემესტრის/სასწავლო წლის დასასრულს სკოლა მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს ინფორმაციას შეფასების შედეგების გაპროტესტების უფლების თაობაზე. აღნიშნული ინფორმაციის

მიწოდება ხორციელდება დასწრებით რეჟიმში, მშობელთა კრებაზე. მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი ინფორმირებულია იმ შეფასების შედეგების გაპროტესტების/შეცვლის პროცედურების შესახებ, თუმცა ასეთი შემთხვევის პრაქტიკა არ აქვთ. სკოლა ასევე გასცემს ინფორმაციას მობილობის ვადების და მისი შემზღუდავი პირობების თაობაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5.დამატებითი, არაფორმალური აქტივობების მხრივ აღსანიშნავია სკოლის ბიბლიოთეკარის ინიციატივით შეთავაზებული კვირეულები, სკოლას ჰყავს ადამიანური რესურსი, რომელიც მნიშვნელოვან ფიგურანტს წარმოადგენს მოსწავლეთა არაფორმალური განვითარების მიმართულებით, ეს გახლავთ ფილოლოგი, რომელიც ასევე არის მწერალი, გამოცემული აქვს რამდენიმე რომანი და საბავშვო ნაწარმოები. არის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის და ჟურნალ „მასწავლებლის“ მიერ 2021 წლის კონკურსის „ვწერ მასწავლებლისთვის 2021“ გამარჯვებული, ამავე ჟურნალში 2 წლის მანძილზე ქონდა რუბრიკა „წიგნები საბავშვო ბიბლიოთეკიდან“. სკოლის მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულები შეთავაზებულ აქტივობებში, განსაკუთრებული დაინტერესება შეინიშნება არაქართულენოვანი მოსწავლეებისაგან, რომლებიც ავითარებენ და ხვეწენ თავიანთ ცოდნას სახელმწიფო ენის უკეთ შესწავლისათვის . გარდა აქ მითითებული აქტივობებისა, აღსანიშნავია, რომ სკოლის ორ მასწავლებელს გავლილი აქვს მეწარმეობის ტრენინგები, მათი თაოსნობით სკოლის ბაზაზე ჩამოყალიბებულია სამეწარმეო კლუბი „მარჯვე ხელები“. ამ კლუბის მიერ, მიმდინარე წლის მარტსა და აპრილში გაიმართა გამოფენა გაყიდვა, რომელზეც გამოტანილი ჰქონდათ საკუთარი ხელებით შექმნილი სუვენირები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. ასეთი სახის უკუკავშირები ძირითადად ზეპირი სახისაა, რომელსაც სკოლა შეძლებისდაგვარად ითვალისწინებს. **სკოლას მიეცა რჩევა**, შექმნას პირობები სკოლის სტრუქტურული ერთეულების , განსაკუთრებით-მოსწავლეთა თვითმმართველი ორგანოების გააქტიურებისათვის, სასკოლო გარემოს/მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით სათანადო რეკომენდაციების გაცემისათვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

1.მოსწავლეთა ადაპტაციის მექანიზმის დამტკიცების ბრძანება(დანართთან ერთად).

2.30% ექსტერნის რეგისტრაციის ბრძანება

3.ინტერვიუ დირექცია-ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

.....

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექციასთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ 2023/24 სასწწლის სასკოლო გეგმაში არ ყოფილა გათვალისწინებული პროფორიენტაციის საათები, მიუხედავად ამისა, სკოლა უკვე რამდენიმე წელია თანამშრომლობს სსიპ - კოლეჯ „ოპიზართან“. ამ თანამშრომლობის ფარგლებში 2023 წელს სკოლაში განხორციელდა პროფესიული უნარების განვითარების სასერტიფიკატო კურსი - „კომპიუტერის პროგრამული და ქსელური მხარდაჭერა“. კურსის გავლის შემდეგ სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებმა მიიღეს სერტიფიკატები და იმყოფებოდნენ სასკოლო შემეცნებით ექსკურსიაზე კოლეჯში. ამავე თანამშრომლობის ფარგლებში სკოლას საჩუქრად გადაეცა კომპიუტერული ტექნიკა. სკოლის დირექციისაგან შევიტყვეთ, რომ ქ. ნინოწმინდის N4 საჯარო სკოლა შერჩეულია იმ მიზნით, რომ დაემატოს პროფესიული პროგრამები, რასაც თან უნდა მოჰყვეს პროფესიული სასწავლებლის გახსნა (სკოლის ბაზაზე), აღნიშნული საკითხი განხილულია პროფესიული უნარების სააგენტოს, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და დონორი ორგანიზაციების: აზიის განვითარების ბანკის, გაეროს განვითარების პროგრამის და ევროკავშირის პროგრამების ფარგლებში და ელოდებიან სამშენებლო სამუშაოების დაწყებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლა, კლასების დამრიგებლების მეშვეობით (უფრო საბაზო-საშუალო საფეხურებზე) მოსწავლეებს აწვდის ინფორმაციას

ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. სურვილის შემთხვევაში მოსწავლეს უფლება აქვს, გავიდეს საბაზო საფეხურიდან და მიიღოს პროფესიული განათლება, ან გააგრძელოს სწავლა საშუალო საფეხურზე და ამის შემდეგ დაეუფლოს პროფესიულ ან/და უმაღლეს განათლებას. აღნიშნული ინფორმაცია სრულად ხელმისაწვდომია მოსწავლეთა მშობლების/კანონიერი წარმომადგენლებისათვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლას არ აქვს გაწეული მომსახურების შეფასების დოკუმენტირებული მექანიზმი და არც რაიმე სახის ანგარიში არსებობს შეფასების შედეგების ეტაპობრივი დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებასთან დაკავშირებით. მომსახურების შეფასების მექანიზმად სკოლა ასახელებს კათედრებისა და პედსაბჭოს სხდომების ოქმებს, ასევე, მასწავლებლებისათვის ზეპირი სახის რეკომენდაციების მიცემას. ვიზიტის პერიოდში **სკოლას მიეცა რჩევა**, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით გამოიყენოს კითხვარები (ჩაატაროს კვლევა) და ინტერვიუები ფოკუსჯგუფებთან, ხოლო შედეგები გაითვალისწინოს შემდგომი სასწავლო წლის დაგეგმვისათვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. კოლეჯ „ოპიზართან“ გაფორმებული მემორანდუმი.
 2. აქტივობის დამადასტურებელი ფოტომასალა და სერტიფიკატები.
 3. ინტერვიუ დირექცია-ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან.
- კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

.....

.....

.....

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლაში ირიცხება 1 სსსმ მოსწავლე(11-ე კლასელია). 2023/24 სასწ.წლის გეგმაში მოცემული აქვთ ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი მექანიზმები. სსსმ მოსწავლის მხარდაჭერას ახორციელებს კვალიფიციური კადრი(უფროსის სტატუსის მქონე სპეცმასწავლებელი). ყველა საგანში შედგენილია ინდ.გეგმა, ინდ.ჯგუფში გაერთიანებულები არიან კლასის დამრიგებელი, საგნის მასწავლებელი და მოსწავლის კანონიერი წარმადგენელი(სოციალური მუშაკი). სპეციალურ მასწავლებელთან გასაუბრებისას გავარკვეით, რომ მოსწავლის შემთხვევაში შეინიშნება პროგრესი, აღნიშნული პირი გატაცებულია ფოტოგრაფიით, იღებს საინტერესო სურათებს და გეგმავს მომავლის პროფესიად აირჩიოს ეს მიმართულება. აქვე ავლნიშნავთ იმ ფაქტს, რომ სკოლაში სწავლობენ არაქართულენოვანი მოსწავლეები, რომლებიც პირველივე კლასიდან გამართულად ფლობენ სახელმწიფო ენას. ამას გარდა, სკოლის მასწავლებლები(განსაკუთრებულად დაწყებით საფეხურზე) საგაკვეთილო პროცესის დასრულების შემდეგაც აქტიურად ეხმარებიან ასეთი ტიპის მოსწავლეებს სახელმწიფო ენის დახვეწაში, რის გამოც არ დამდგარა მათთვის ინდ.გეგმის შედგენის საჭიროება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.სკოლის პერსონალი ჩართულია სსსმ მოსწავლის განვითარებაში, ამ უკანასკნელის შესაძლებლობებზე მორგებული ინდ.გეგმების მეშვეობით მასწავლებლები ეხმარებიან საგნობრივი პროგრამების დამღევაში. როგორც ავლნიშნეთ, სსიპ ქ.ნინოწმინდის საჯარო სკოლას არ აქვს ადაპტირებული გარემო. არ არის დამონტაჟებული ლიფტი და პანდუსი, ადაპტირებული სველი წერტილი არ აქვთ. სკოლა ელოდება სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყებას და იმედი აქვს, შენობა გახდება სათანადო სტანდარტის. ვიზიტის დროს დავათვალიერეთ რესურსოთახი, რომელშიც განთავსებულია ძალიან მწირი რესურსები, რაზედაც სკოლას მიეცა რჩევა, 2024/25 სასწავლო წლის დაწყებამდე უზრუნველყოს რესურსოთახის სათანადო ინვენტარითა და თვალსაჩინოებებით აღჭურვა. ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებით სკოლას ჩატარებული აქვს შიდა მონიტორინგი, ხოლო ავტორიზაციის ჯგუფის ვიზიტამდე რამდენიმე დღით ადრე მონიტორინგი განახორციელა სამინისტროს მულტიდისციპლინურმა გუნდმა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- 1.სკოლის 2023/24 სასწ.წლის სასკოლო გეგმა.
- 2.ინდივიდუალური გეგმები.
- 3.სკოლის ვიზუალური დათვალიერება.
- 4.ინტერვიუ დირექციის წარმომადგენლებთან

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

.....
.....
.....

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას არ აქვს დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების სერვისი.
2. არ არის შეთავაზებული დამატებითი მომსახურება
3. დამატებითი მომსახურების სერვისი არ აქვთ

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

.....



შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადამინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება



	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
--	---

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. ინდიკატორი 2.1.1.1 - დაკმაყოფილებულია
2. ინდიკატორი 2.1.1.2 - დაკმაყოფილებულია
3. ინდიკატორი 2.1.1.3 - დაკმაყოფილებულია
4. ინდიკატორი 2.1.1.4 - დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სასკოლო სასწავლო გეგმა;

მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული მიზნების შემუშავების მეთოდოლოგია, მონიტორინგი და შეფასება; შინაგანაწესი;

მასწავლებელთა სამუშაო შეხვედრები;

ვერიფიკაციის მექანიზმი;

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;

მშობელთა გამოკითხვა/ინტერვიუ და შედეგების ანალიზი;

მშობლებთან შეხვედრის რეგლექსია;

მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივის განხილვა.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
სასკოლო პროექტები;
საგნობრივი პროექტები;
არაფორმალური მიმართულებები;
საგნობრივი კურიკულუმები;
ინტერვიუ სკოლის დირექციასთან და მასწავლებლებთან.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;
3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;
5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. ინდიკატორი 2.1.2.1 მეტწილად დაკმაყოფილებულია

ფიზიკური აღზრდა და სპორტი:

დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში კურიკულუმით განსაზღვრული შუალედური მიზნები ნაწილობრივ წარმოადგენს შემოქმედებით პროდუქტს. კერძოდ:

I კლასის კურიკულუმში, თემა - “გასართობი თამაშები, ხელბურთის ელემენტები“, არ ჩანს თუ რამდენად წარმოადგენს კომპლექსური დავალების შემოქმედებით პროდუქტს.

II კლასის კურიკულუმში, თემაში „მძლეოსნობა“ - კომპლექსური დავალების იდეად წარმოდგენილია მაგიდის ჩოგბურთის წესების სწავლება, ხოლო თემაში „ჰიგინა და გასართობი თამაშები“ - კომპლექსური დავალების იდეად ხელბურთის ელემენტებია წარმოდგენილი, რაც არ არის შესაბამისი მითითებული სპორტის სახეობებთან.

III კლასის კურიკულუმში, თემაში - „მძლეოსნობის ელემენტები და ძალისმიერი ვარჯიშები“ კომპლექსური დავალების პირობაში სრულყოფილად არ მუშავდება თემიდან გამომდინარე საკითხები. გარდა ამისა, თემაში - „ძალისმიერი ვარჯიშები“ მუშავდება მხოლოდ ერთი სამიზნე ცნება, ხოლო საკითხებში შემოტანილია ტანვარჯიშის საკითხები, რაც აცდენილია თემასთან.

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება; მუსიკა;

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმში არ მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს:

- კურიკულუმში მეორდება თემატური ბლოკები;
- თემატურ ბლოკის ფარგლებში არ მუშავდება ყველა სამიზნე ცნება;
- თემატურ ბლოკებში, სამიზნე ცნების ფარგლებში მეორდება ერთი და იგივე ქვეცნებები;
- სტანდარტის სამიზნე ცნებების რაოდენობა არ არის საფეხურისა და კლასის შესაბამისი.

მუსიკა:

- მუსიკის კურიკულუმში არ მუშავდება საგნის სტანდარტით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო თემა.

სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის საფუძველზე, გაცემული იქნა რეკომენდაცია, 2024 წლის 02-09 სექტემბრის პერიოდში, 2024-25 სასწ.წლისთვის შემუშავებული სასკოლო კურიკულუმში წარმოადგენდეს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას(განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სპორტისა და ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი მიმართულებების საგნობრივ კურიკულუმებს).

2. ინდიკატორი 2.1.2.2 მეტწილად დაკმაყოფილებულია

ფიზიკური აღზრდა და სპორტი:

დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში კურიკულუმით განსაზღვრული შუალედური მიზნები ნაწილობრივ წარმოადგენს შემოქმედებით პროდუქტს. კერძოდ:

I კლასის კურიკულუმში, თემა - „გასართობი თამაშები, ხელბურთის ელემენტები“, არ ჩანს თუ რამდენად წარმოადგენს კომპლექსური დავალების იდეა შემოქმედებით პროდუქტს.

II კლასის კურიკულუმში, თემაში „მძლეოსნობა“ - კომპლექსური დავალების იდეად წარმოდგენილია მაგიდის ჩოგბურთის წესების სწავლება, ხოლო თემაში - „ჰიგიენა და გასართობი თამაშები“ - კომპლექსური დავალების იდეად ხელბურთის ელემენტებია წარმოდგენილი, რაც არ არის შესაბამისი მითითებული სპორტის სახეობებთან.

III კლასის კურიკულუმში, თემაში - „მძლეოსნობის ელემენტები და ძალისმიერი ვარჯიშები“ კომპლექსური დავალების პირობაში სრულყოფილად არ მუშავდება თემიდან გამომდინარე საკითხები. გარდა ამისა, თემაში - „ძალისმიერი ვარჯიშები“ მუშავდება მხოლოდ ერთი სამიზნე ცნება, ხოლო საკითხებში შემოტანილია ტანვარჯიშის საკითხები, რაც აცდენილია თემასთან.

მუსიკა:

მუსიკის კურიკულუმში არ არის დაფარული საგნის სტანდარტით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო თემა, რაც ვერ უზრუნველყოფს საგნობრივი კურსკულუმით განსაზღვრული თემის/საკითხის ჯამურ საათობრივ დატვირთვასა და სწავლის შედეგების მიღწევას.

სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის საფუძველზე გაცემული იქნა რეკომენდაცია, 2024 წლის 02-09 სექტემბრის პერიოდში შემუშავებული ახალი სასწავლო წლის სასკოლო გეგმა(კურიკულუმი) მიემართებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს (განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ესთეტიკური აღზრდის საგნების კურიკულუმებს).

3. ინდიკატორი 2.1.2.3 - დაკმაყოფილებულია

4. ინდიკატორი 2.1.2.4 - დაკმაყოფილებულია

5. ინდიკატორი 2.1.2.5 მეტწილად დაკმაყოფილებულია.

პირველი და მეორე უცხო ენა:

სკოლის მიერ მოწოდებული მოსწავლის შეფასების სისტემასთან დაკავშირებული დოკუმენტები არ შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები არის ზოგადი და არ მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდოლოგიურ ორიენტაციებს.

კერძოდ: დოკუმენტი - „ინგლისური ენა, შეფასების რუბრიკა, კლასი 1“, წარმოდგენილია მხოლოდ ზოგადი სამიზნე ცნებები ეროვნული სასწავლო გეგმიდან, დოკუმენტში არ არის განსაზღვრული თემა და შეფასების კრიტერიუმები.

ასევე, დოკუმენტი „განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა მეორე უცხო ენის მე-5 კლასის კომპლექსური დავალებისთვის“, წარმოდგენილია დაწყებითი საფეხურის ჟანრისა და სამეტყველო ქმედების გრძელვადიანი მიზნები ეროვნული სასწავლო გეგმიდან, თუმცა, არ არის განსაზღვრული რა ტიპის დავალება რა კრიტერიუმებით ფასდება.

წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით, სკოლას მიეცა რეკომენდაცია, 2024 წლის 02-09 სექტემბრის პერიოდში, ახალ სასწავლო გეგმაზე მუშაობისას გაითვალისწინოს მოსწავლის შეფასების სისტემის შესაბამისობის საკითხი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებთან, სკოლის მიერ შექმნილი რუბრიკებით შესაძლებელი გახადოს მოსწავლის ყოვლისმომცველი, სამართლიანი, რელევანტური და სანდო შეფასება.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საგნობრივი კურიკულუმები;
სასწავლო რესურსები;

განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
სასკოლო სასწავლო გეგმა;
კათედრის ოქმები;
მოსწავლეთა ნამუშევრები;
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მამიებლის თვითშეფასების ფორმა;
კურიკულუმების განვითარების მეთოდოლოგია;
სასკოლო პროექტები;
საგნობრივი პროექტები;
არაფორმალური მიმართულებები;
შემაჯამებლის ანალიზის ფორმა;
მოსწავლის თვითშეფასების ფორმა;
განხორციელებული კომპლექსური დავალება გაწერილი ეტაპებად;
კურიკულუმის განვითარებისა და შემუშავების მეთოდოლოგია;
ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა;
ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
ციფრული განვითარების გეგმა;
ფეისბუქისა და ვებ გვერდის ბმულები;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

1. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;
2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)

1.ინდიკატორი 2.2.1.1 - მეტწილად დაკმაყოფილებულია

ფიზიკური აღზრდა და სპორტი:

სკოლის ინფრასტრუქტურიდან გამომდინარე სასწავლო პროცესის დაგეგმვა ვერ მოხერხდება საგნობრივი კურიკულუმის შესაბამისად, რადგან კურიკულუმში გაწერილი თემები, სპორტის სახეობები შესაბამისობაში ვერ მოდის სპორტულ ინფრასტრუქტურასთან.

წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის საფუძველზე სკოლას მიეცა რეკომენდაცია, 2024 წლის 02-09 სექტემბრის პერიოდში უზრუნველყოს ისეთი სასკოლო გეგმის მომზადება, რომლითაც შესაძლებელი იქნება სასწავლო პროცესის სრულფასოვნად წარმართვა(განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სპორტისა და ესთეტიკური აღზრდის საგნობრივ მიმართულებებს).

2.ინდიკატორი 2.2.1.2 - დაკმაყოფილებულია

3.ინდიკატორი 2.2.1.3. დაკმაყოფილებულია

4.ინდიკატორი 2.2.1.4 - დაკმაყოფილებულია

5.ინდიკატორი 2.2.1.5 - დაკმაყოფილებულია დასტურდება (მტკიცებულებები): კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სასკოლო სასწავლო გეგმა;

ვერიფიკაციის მექანიზმი;
კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
საგნობრივი კურიკულუმები;
სასწავლო რესურსები;
განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
სასკოლო სასწავლო გეგმა;
კათედრის ოქმები;
მოსწავლეთა ნამუშევრები;
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
კურიკულუმების განვითარების მეთოდოლოგია;
სასკოლო პროექტები;
საგნობრივი პროექტები;
არაფორმალური მიმართულებები;
შემაჯამებლის ანალიზის ფორმა;
მოსწავლის თვითშეფასების ფორმა;
განხორციელებული კომპლექსური დავალება გაწერილი ეტაპებად;

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

1. კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში;
(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას;
3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.
ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.
4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1.ინდიკატორი 2.2.2.1 - დაკმაყოფილებულია

2.ინდიკატორი 2.2.2.2 - დაკმაყოფილებულია

3.ინდიკატორი 2.2.2.3 - მეტწილად დაკმაყოფილებულია

ფიზიკური აღზრდა და სპორტი:

სკოლას არ აქვს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო სპორტული ინფრასტრუქტურა.

სკოლას არ აქვს სპორტული დარბაზი და მოედანი.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:

სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლებისათვის შესაბამისი ლაბორატორია, შესაბამისად, სკოლა ვერ უზრუნველყოფს საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის საკმარისი რაოდენობის მატერიალურ რესურსს, მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით.

წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის საფუძველზე სკოლას მიეცა რეკომენდაცია, 2024 წლის აგვისტოდან 2025 წლის აგვისტოს ჩათვლით, მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით, სასწავლო პროცესის სრულფასოვანი წარმართვისათვის უზრუნველყოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაბამისობაში მოყვანა(მოაწყოს სპორტული მოედანი და შეიძინოს/აღჭურვოს საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორიები)

4.ინდიკატორი 2.2.2.4. მეტწილად დაკმაყოფილებულია

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება:

სკოლას არ ჰყავს კვალიფიციური კადრი, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნის სწავლებისათვის.

წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაზე დაყრდნობისთ სკოლას მიეცა რეკომენდაცია, 2024 წლის აგვისტოდან 2025 წლის აგვისტოს ჩათვლით პერიოდში უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიების გატარება სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნის კვალიფიციური მასწავლებლის შერჩევისა და სკოლაში დასაქმების მიზნით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საგნობრივი კურიკულუმები;

სასწავლო რესურსები;

განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;



სასკოლო სასწავლო გეგმა;

კათედრის ოქმები;

მოსწავლეთა ნამუშევრები;

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მადიებლის თვითშეფასების ფორმა;

კურიკულუმების განვითარების მეთოდოლოგია;

სასკოლო პროექტები;
საგნობრივი პროექტები;
არაფორმალური მიმართულებები;
შემაჯამებლის ანალიზის ფორმა;
მოსწავლის თვითშეფასების ფორმა;
განხორციელებული კომპლექსური დავალება გაწერილი ეტაპებად;
კურიკულუმის განვითარებისა და შემუშავების მეთოდოლოგია;
ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა;
ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
ციფრული განვითარების გეგმა;
ფეისბუქისა და ვებ გვერდის ბმულები;
მასწავლებელთა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
2. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას;
3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. ინდიკატორი - 2.3.1.1 – დაკმაყოფილებულია
2. ინდიკატორი - 2.3.1.2 – დაკმაყოფილებულია
3. ინდიკატორი - 2.3.1.3 - დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სასკოლო სასწავლო გეგმა;

მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული მიზნების შემუშავების მეთოდოლოგია, მონიტორინგი და შეფასება;

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტიურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

- 1.ინდიკატორი - 2.3.2.1 - დაკმაყოფილებულია
- 2.ინდიკატორი - 2.3.2.2 - დაკმაყოფილებულია
- 3.ინდიკატორი - 2.3.2.3 - დაკმაყოფილებულია
- 4.ინდიკატორი - 2.3.2.4 - დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

სასკოლო სასწავლო გეგმა;

მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული მიზნების შემუშავების მეთოდოლოგია, მონიტორინგი და შეფასება;
კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

